

75  
1920

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

# ნაწილობა

1920



№ I  
0453460  
მოსკოლის ბიბლიოთეკის

# ნაკადული

№ 1.


F 75  
1920



F-5817  
1908  
~~F-922~~



„ნაკადულის“ დამაარსებელი და რედაქტორი  
მარიამ ივანეს ასული დემურიძე  
ათა წლის გარდაცვალების გამო  
(1910—1920).



## აღტაცებული ღუმელი.



ფუბნებიან, სანატრელი, ჰა, ავისრულდა  
 ღ რად არ ეღერენ ტკბილად შენი ჩანგისა სიმნი?  
 ხედავ, სამშობლო საყვარელი განთავისუფლდა  
 და უმღერეო საზეიმო ღბენისა ჰიმნი!

ვხედავ,—ვენეტარებ, ცას ესწვდები აღფრთოვნებული,  
 მაგრამ უძლოურ ვარ, გამოვთქვა გრძნობა გულისა,  
 და მშთება მხოლოდ შე ღუმელი აღტაცებული,  
 და სევდის ცრემლის ნაცვლად—ცრემლი სიხარულისა!..

ლუბა შვგრელი.

12 იანვარს 1920 წ.





## სამართლიანობის აღიარება.

**ს**ასიხარულო დღე დაუდგა საქართველოს 12 იანვარს. ამ დღეს დიდი ბრიტანიის წარმომადგენელმა ამიერ კავკასიაში, მისტერ ოლივერ უორდროპმა, ოფიციალურად აცნობა ჩვენ მთავრობას, რომ საქართველოსა და ადერბეიჯანის რესპუბლიკები ერთხმად იქნა ცნობილი მოკავშირეთა სახელმწიფოების უზენაეს საბჭოსაგან.

საქართველო აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამის შემდეგ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის, ის შედის კაცობრიობის კულტუროსან ხალხთა ოჯახში!

საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებმა. ამას შემდეგ ყოველი მტაცებელი, ვინც შეეცდება და დაეცემა ჩვენ რესპუბლიკას, აღიარებული იქნება როგორც ხალხთა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და უფლებათა დამრღვევი და მტერი იქნება იმ სახელმწიფოების, რომელთაც აღიარეს საქართველოს უფლებები.

საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებელია!

ამის შემდეგ ჩვენი ხალხი, რომელმაც მოახერხა, რომ ყველას ეცნოთ და აღეარებინათ მისი უფლებანი, დამშვიდებით განაგრძობს თავის მუშაობას, განაგრძობს თავის ცხოვრების მოწყობას.

წელიწადნახევარი დაავიანეს ევროპის სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ორი წლის გან-





მავლობაში ყოყმანობდნენ ისინი, ორი წლის განმავლობაში არ იყო ცნობილი მათგან ურყევი ნების ყოფა ქართველი ხალხისა, რომ იცხოვროს თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებით.

მაგრამ ეს დაგვიანებაც გასაგებია: ერთი რომ საქართველოს ვერ იცნობდნენ ევროპაში, მეორე, ხალხთა უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება იცნონ სახელმწიფოებმა, როდესაც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამ ხალხის ნების ყოფას, როდესაც ეს ხალხი დაანახებებს ქვეყანას თავის ძალებს, თავის სულიერ სიმტკიცეს, და რომ მზად არის მედგრად დაიყვას თავისი იდეალები.

წლისა და ნახევრის განმავლობაში საქართველოს წარმომადგენლები ევროპაში აცნობდნენ იქაურ საზოგადოებას ჩვენ ქვეყანას.

გაკვირვებით და ხანდახან ალტაცებითაც იგებდნენ განათლებულ ქვეყნების ხალხები, რომ კავკასიის მთაგრეხილის კალთებში ათასი წლოებით იბრძოდა თავის კულტურის შესანარჩუნებლად პატარა ხალხი და რომ მან მოახერხა და შეინახა ეს კულტურა საუკუნეთა განმავლობაში აუტანელ ბრძოლასა, ტანჯვასა და ჩაგვრაში.

ევროპამ გაიგო, რომ ამ ერმა მიუხედავად სასტიკი ბრძოლისა ამ საუკუნეთა განმავლობაში მისი საზღვრების გადასალახავად შემოსეულ მტერ ბარბაროსებთან და მიუხედავად მრავალნაირი ნაციონალური ჩაგვრისა, შექმნა თავისი საკუთარი ლიტერატურა, აღზარდა თავისი ხელოვანები, მეცნიერები, შესანიშნავი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

განათლებულმა ქვეყნებმა გაიგეს, რომ ქართველებს ჰქონდათ დიდი გავლენა სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის ცხოვრებასა და აზროვნებაზე, რომ საქართველო ყოველთვის იყო ცხოვრების წინსვლის, პროგრესის მატარებელი ამიერკავკასიაში.

ამასთანავე ერთად ისინი ეცნობოდნენ აუარებელ ბუნე-

პრივ სიმდიდრეს ჩვენი ქვეყნისას, ჩვენი ხალხის დიდ ძალას. ევროპის ხალხი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ აუცილებლად უნდა იქნას აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა.

მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სხვა მხარეს. რამდენჯერ ამ დროს განმეულობაში, რაც საქართველო დამოუკიდებლად არსებობს, შემოვიყენებ მტრები ჩვენ საზღვრებს და ყოველთვის მტკიცედ იცავდა ის ამ საზღვრებს და იგერებდა მტერს. გარეშე მტერთან ბრძოლაში აღიზარდა და განმტკიცდა ჩვენი რესპუბლიკის ჯარი, იშვა ჩვენი სახალხო გვარდია. საქართველომ შექმნა თავისი სამხედრო ძალა. შინაგან სახელმწიფო მართვა-გამგეობაში თვეების განმეულობაში ისეთი ცვლილება (რეფორმები) მოახდინა, როგორცაც სხვა განათლებულ ქვეყნებში წლობით უნდებიან ხოლმე.

ქართველმა ხალხმა თავის დაულაღაგ მუშაობის მეოხებით მოახერხა და მთელ ყოფილ რუსეთის ყველა ხალხებზე უკეთ, ჩვენ რესპუბლიკაში შექმნა წესიერება და საუკეთესო ცხოვრების პირობები.

ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებმა და ევროპიელ ხალხთა საზოგადო აზრმა, როცა დაინახა ქართველი ხალხის ძალა თავის სახელმწიფოს შექმნის საქმეში, როცა დაინახა ქართველი ხალხის ურყევი ნების ყოფა დამოუკიდებელ, თავისუფალ ცხოვრებისაკენ, მიხვდა, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია გადაელობოს წინ და ხელი შეუშალოს ამ ხალხს ამ ერს მუპოვებულ თავისუფლების განმტკიცებაში.

ევროპიელმა ხალხებმა და მთავრობებმა დაინახეს, რომ ქართველ ხალხთან რაიმე საქმის დაკერა და სხვადასხვა საქონლის გაცვლა გამოცვლის მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ცნობილი იქნება ქართველი ერის დამოუკიდებლობა, თუ ქართველ ხალხს ექნება უფლება თვითონ მოაწყოს თავის სახელმწიფოს აღმშენებლობა, თუ ცნობილი იქნება მათი ნების ყოფა.

ამავე დროს ევროპის სახელმწიფოების მთავრობებმა გაიგეს,



საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის

რომ ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ამიერ-კავკასიაში, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ ქართველი ხალხის მისწრაფებასა და ნების ყოფას, რომ ამიერ კავკასიაში და მთელ კავკასიაშიაც თავისი საკუთარი პოლიტიკა აწარმოონ.

და როცა ეს ყველაფერი გაიგეს ევროპის სახელმწიფოებმა, მაშინ იცნეს და აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს ერმა ბრძოლით აიძულა ეცნოთ იმისი დამოუკიდებლობა, — მან დაანახვა მთელ ქვეყნიერებას რა ძალები ამის ხალხში დაგროვილი და ამით აღიარებინა თავისი უფლებანი.

და ახლა, ყველასაგან ცნობილი და კიდევ უფრო გამაგრებული თავის ძლიერებაში, განაგრძობს თავის გზას.

ამას იქით ქართველი ერი წაეა წინ თავისი მუდმივი მისწრაფებით — ძმობისა, თანასწორობისა და სიყვარულის დასამყარებლად ქვეყნიერობის თავისუფალ ხალხთა შორის.





## სამშობლოსადმი.

ციდან ჩამოდის ვარსკვლავი,  
სამშობლოს თავზე დასდისა,  
მარგალიტებით ირთებოშ  
მთები ფიჭვის და დარდისა;  
ის არის მეტად ლამაზი,  
სადაც არაგვი ჩადისა;  
გული სულ იქით მიიწევს,  
იმისი ნახვა სწადისა;  
იქ ბევრი არის ვაყვაცო,  
მქნელი გმირობის ცხადისა;  
უფრო და უფრო მრავლდება,  
რაც დრო და ეამი გადისა.

კარზე რო ძილი მოდგება,  
მყუდრო და მშვიდი სახისა,  
მთიდან ვილაკა ვაყვაცო  
სულ იმას გაიძახისა:  
„არ დაიძინოთ ძალიან,  
მნახველნო სივავლახისა,  
დროს ეძებს ძველი მტანჯველი,  
მზიდველი ავი ზრახვისა!!  
მეც რო სოფელში გამოვალ,  
სულ იმას ვამბობ ტკბილადა:  
მუდამა გმართებს, სამშობლოვ,  
იყო ფეხიზლად და ფრთხილად!“

ი. მკედლიშვილი.



## გ ა ფ ი ც კ ა.



ს არც ისე ადვილი საქმე-იყო: გაფიცვა უნდა გამოეტყობინათ ორკლასიან სკოლის ყველა მოწაფეებს.

ხუნრობა ხომ არ იყო: ძველ დროს კიდევ შეიძლებოდა ღიათმობა. მაგრამ თავისუფლების ხანაში, რევოლუციის გარიყრაზე ყველასთვის საყვარელ ამხანაგის შეურაცყოფას აბა როგორ აიტანდნენ ამდენი მოწაფეები?

საქმე შეეხებოდა მეხუთე განყოფილების მოწაფის ვარ-

დენის ყურის აწევას და სილის გარტყმას მასწავლებელ გიორგი ზაქარიას ძეს მიერ.

— კმარა, რაც აქამდის ყურები გვაგლიჯა!

აი, აგერ მაჩნია შისი ფრჩხილების კვალი. შარშან, გაკვეთილი რომ ვერ მიუგე ვარგად, ისე ამიწია, რომ თვალებიდან სულ ცეცხლი მაყრევინა.

— აგერ შეხედეთ ჩემი ცხვირის ნესტოებს: ნახევარი წლის წინ მუშტი მთხლიშა ცხვირზე. — ამხანაგს რატომ ეხმარები გამოცანის გამოყვანაშიო.

— შე უარესი მიქნა...

— რა ვუყოთ შერე, თუ ერთხელ ვერ ვისწავლე გაკვეთილი? ამისთვის უნდა ჩამოგალჩონ?...

— ვერა, მეტს ვერ მოვიტმენთ, უსათუოდ უნდა გადაუხადოთ...

სკოლის, ეზოში თავმოყრილ მოწაფეებში ყოველმხრივ საყვედური მოისმოდა, ყველა შურისძიებას მოითხოვდა.

უბედური გიორგი ზაქარიას ძე! ამ დროს რომ შემოსულიყო მოწაფეთა ჯგუფში, ვინ იცის, იქნება ხელითაც შეჭხებოდნენ და გაელახათ...

მართალია, საყვედურის წარმოთქმის დროს ყველას სამასწავლებლო ოთახისაკენ ექირა თვალი, — ვაი თუ გაიგონოს გიორგი ზაქარიას ძემ და უარესი დღე დაგვაყენოსო, მაგრამ ერთ-მანეთს გადახედავდნენ და ისევ გათამამდებოდნენ.

\* \* \*

ამ უთავბოლო ლაპარაკის დროს შეურაცხყოფილი ვარდენი ამხანაგებიდან განმარტოებით იდგა და თავჩაქინდრული მძიმედ დაფიქრებულებოდა.

— აგერ საში თვე იქნება, რაც არაფერს გაულახავს იმ ჩემი ცოდვით სავსეს და ახლა პირველად თავისუფლების შემდეგ რაღა მე მომავნო ამხანაგებში? განა პირველი მაგალითია, რომ მე გაკვეთილი არ ვიცოდე? — ფიქრობდა ის.



მართლაც სამი თვეა, რაც რევოლუცია მოხდა და მის შემდეგ გიორგი ზაქარიას ძე ვერიდებოდა მოწაფეთა გალახვას.

გიორგი ზაქარიას ძე უკვე ღრმა მოხუცებულია. მთელ თავის მასწავლებლობის ხანაში ის ცნობილი იყო, როგორც თავის მოწაფეების დაუზოგავი მლახველი.

ეს უშველებელი ამბახი კაცი, რომელსაც თითქმის საყენიან ტანზე ნახევარ არშინის სიგრძე კისერი ედგა, ვისაც დაავლებდა თავის საშინელ გრძელ ხელებს, სულ წიწილასავით აწივლებდა.

ვინ გაბედავდა გაშველებას? გასალახავად მიჩნეულთა გვერდში მჯდომ უდანაშაულო მოწაფეებსაც არ აღვათ კარგი დღე, გაშმაგებულ მასწავლებლის ხელი ხშირად იმათაც სწვდებოდა.

ერთხელ ასეც მოხდა:

უდროო სიცილისათვის გიორგი ზაქარიას ძემ შეუტია ერთ მოწაფეს. როცა იგი მისკენ გაექანა, გასალახავ მოწაფის გვერდში მჯდომმა ამანაგმა განზე გაწევა ვერ მოახერხა, სიბრაზისაგან თვალ-დაბნელებულმა გიორგი ზაქარიას ძემ დამნაშავეს მხოლოდ ერთხელ მოუსწრო სილის გარტყმა, უდანაშაულოს კი ბარე ექვსჯერ უთავაზა და ყურიც კარგად გაუწითლა აწვეით.

— შე არა ვარ დამნაშავე, ბატონო მასწავლებელო, — წამოიძახა უბედურმა, მაგრამ პრისხანე მასწავლებელმა ის უმაღლე ჩააჩუმა:

— შენ რა იცი, შე რეგვენო, დამნაშავე ხარ, თუ არა: ეს ჩემი საქმეა.

ამბობენ, ყოველთვის ასე უღმობელი არ იყო გიორგი ზაქარიას ძეო. თურმე ეს თვისება მას განსაკუთრებით მას შემდეგ დასჩემდა, რაც კოლშვილი ერთბაშად ამოუწყვიტა საოფლებს. მაგრამ ახლანდელმა მისმა მოწაფეებმა არც იციან, არც ფიქრად მოუვიათ, თუ ის ოდესმე იყო, ან იქნებოდა ღმობიერი. კოლშვილი კი ოცი წლის წინ დაჰხოცოდა და თვითონაც რომ მათ გადაყოლოდა, სჯობს სიმართლე ითქვას, ყველა ახლანდელ მოწაფეს გულიანად გაახარებდა.

არც სოფელს, არც ამხანაგ მასწავლებლებს არ უყვარდათ გიორგი ზაქარიას ძე, მაგრამ მის წინააღმდეგ ვერას გახდნენ.

სამაგიეროდ სამოსწავლო მთავრობა მას ძლიერ უმადლიდა. ყველა მეთვალყურე, რომელიც კი მოვიდა მის სკოლაში, გაკვირვებული ბრუნდებოდა სკოლის წესებით.

კლასში გიორგი ზაქარიას ძეს გაკვეთილის დროს ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზი რაა, ჭიანჭველას რომ გაეველო იატაკზე, ვგონებ, იმასაც კი გაიგებდით.

მოწაფეები ისე ჰყავდა დაგეშილი, რომ მთელი გაკვეთილის დროს მისი ნახვეარ არშინის სიგრძე, უშნო, თეთრ წვერ-ულვაშით დაფარულ სახეზე უნდა ემზირათ.

რაც უნდა მაგარი სიცივე ყოფილიყო, ხელები მაგიდაზე უნდა დაეწყათ.

თუ წიგნის აღება, ან გადაფურცვლა იქნებოდა საჭირო, ისე ფრთხილად უნდა მიჰპაროდნენ მას ორი თითით, რომ ხმაურობა არ ყოფილიყო.

გაკვეთილებს თხოულობდა ადგილებიდან. ეშმაკი შეუჯდა გულში, თუ გულთმისანი, ერთის გადახედვით მიხედებოდა, თუ ვინ არ იცოდა გაკვეთილი. ყველას სახელი ზეპირად იცოდა.

— ლევან, გაკვეთილიო! — ბრძანებდა, თუ შენიშნავდა რომ ლევანმა არ იცის გაკვეთილი.

— სათაურიც ვერ შეგისწავლია ხეირიანად; სამი სიტყვა სთქვი, და ისიც შეცდომებით! მოწიე ყური! — შეჰყვირებდა და მიუახლოვდებოდა საცოდავ ლევანს. ყურ ასაწვევი მოწაფე ცდილობდა მასში ღმობიერება დაეხადა და ყურს მისკენ მისწევდა, თითქოს ამით ანიშნებდა, — მიყურე, შეც გეხმარები, შემობრალეო, მაგრამ ასეთები არ სჭრიდა გიორგი ზაქარიას ძესთან. მის გაკვეთილზე თითის აწვევაც აკრძალული იყო.

თუ სხვა მასწავლებლის გაკვეთილზე მიჩვეული ვინმე შესდებოდა და თითს აიწვედა, ერთ მუშტს უსათუოდ იგემებდა.

შესვენების დროს მოწაფეებს რიგ-რიგად სეირნობის და



ხან-და-ხან ბურთის თამაშობის ნებას რთავდა. თვითონ კი შორიდან უყურებდა.

თუ რომელიმე მოწაფე არ მოეწონებოდა ბურთის თამაშში, ან ეშმაკობას შენიშნავდა, თამაშს, ან სეირნობას დაშლიდა და შენიშნულ მოწაფეს ლაზათიანად გალაზავდა. სხვებს კი გინებით გამოუტყედდა ყურებს.

ასეთი წესი გარეგნულად, გაკვეთილების მოთხოვა შიგკლასში, — მეთვალყურეებზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ გიორგი ზაქარიას ძეს ყოველთვის მადლობა და ქების ფურცელი მოსდიოდა. მისი წყალობით, ერთკლასიანი სკოლა ორკლასიანად გადააკეთეს კიდევ ათი წლის წინ და სამი სხვა მასწავლებელიც მიუმატეს. ზედამხედველად თვითონ იგი დანიშნეს. ასეთი ამავის შემდეგ მოწაფეთა შობილებიც შეფორიგდნენ თავიანთ შვილების ცემას.

— რა უკოთ, ჩვენ შვილებს სცემს, მაგრამ სამაგიეროდ საქმე კარგად მიჰყავს. სცემს, თორემ ხომ არ კლავსო, — ამბობდნენ ისინი.

ახალ-გადმოყვანილი მასწავლებლები დიდხანს ვერ შეეგუენ მის ჩვეულებას, მაგრამ გიორგი ზაქარიას ძემ ისინიც მალე მოაშინაურა.

— თუ მე მოწაფეებს ვცემ, ეს ალბათ საჭირო ყოფილა, ეს რა თქვენი საქმეა: მე ასე შემისწავლია სწავლების წესი და ასე ვასწავლიო, — უპასუხებდა ის უკმაყოფილო მასწავლებლებს.

\*  
\*  
\*

რევოლიუციამ ცოტა შეადიქრიანა ჩვენი გიორგი ზაქარიას ძე. იგი უნებური-მოწმე ხდებოდა მუშათა კრებებისა, სადაც არაჩვეულებრივი სიტყვები ესმოდა.

მის მწუხარებას ისიც უფრო აორკეცებდა, რომ არაჩვეულებრივ კრებებზე მისი მოწაფეებიც ესწრებოდნენ. ახლა კი იგრძნო, რომ სხვა დრო დგებოდა. ამიტომაც ნელ-ნელა მან უკლო მოწაფეთა გალაზვას და ყურის აწევას. ორიოდ



კვირის შემდეგ ცემა მთლად მიატოვა, თუმცა ეს ძლიერ გაუჭირდა. სობრაზის დროს თავს ძლივს იკავებდა და წადილს რომ ვერ ასრულებდა, ყვირილს უმატებდა. ამან ის საგრძნობლად დაასუსტა. ოთახიდანაც იშვიათად გამოდიოდა, მხოლოდ დაღამებისას მიაშურებდა სოფლის მღვდლისას, ან ერთ მის ძალიან მეგობარ აზნაურის ქვრივ ბარბალესთან. მხოლოდ ეს ორი იყო მისი მეგობარი.

— როგორ შეიძლება ამდენი ნაძირალების სწავლება ისე, რომ არ ვალახო? — ამბობდა ბარბალე და თანაგრძნობით გადახედავდა გიორგი ზაქარიას ძეს.

— რასაკვირველია ასეა, ჩემო შვილო და ბატონო ბარბალე! შენი თავი ნუ მომიკვდება, უამისოდ ამდენ უჯიშო ბავშვებს ვინ ასწავლის? — დაუმოწმებდა მღვდელი მამა ნეოფიტეს.

სამი თვე აგერ-აგერ შესრულდებოდა, რაც არაფერს გაუღახავს გიორგი ზაქარიას ძეს და გუშინ კი უღალატა ხელმა, ერთი მაგრად აუწია ყური და სილაც გაართყა მეხუთე განყოფილების მოწაფეს ვარდენს.

მერე რა მეტიჩარა მოწაფისკენ გაექცა ხელი? მთელი სკოლის მოწაფეობა ვარდენის ჭკუაზე დადის, ყველას მეთაურად ის ითვლება. ამიტომ იყო, რომ მისმა ვალახვამ ისეთი აურზაური დაჰბადა განსაკუთრებით უფროს განყოფილებათა მოწაფეებში, რომ ამის გამო იმავე საღამოს ამათ მთელი სკოლის მოწაფეების კრებაც კი დანიშნეს მახლობელ ქალაში.

რა კი აქ ყველა მოწაფეები ვერ გამოცხადდნენ, დატრიალდნენ სოფელში და გადაწყვიტეს ეს საქმე დილა-ადრიან, გაკვეთილების დაწყებამდის გაერჩიათ თვით სკოლის ეზოში და კრებაც აქ გაემართათ მაშინ.

მართლაც, გათენებისთანავე მოწაფეები უკლებლად მოვიდნენ. მშობლები დაეტყუებიათ, მასწავლებელმა ადრე დაგვიბარაო. თუმც მისი იყო, მაგრამ დილას ცოტა სიცივე მიიწვინებდა.

უმცროს განყოფილებათა მოწაფეებს აგერ — აგერ კიდევ



აკანკალებდათ. ამათ თავი ცალკე მოეყარათ და დაშინებულის თვალებით იხედებოდნენ დიდებისკენ. ამ უკანასკნელთ დაფრთხობათ ისინი, დილა-ადრინ თუ არ მოხვალთ, ყველას გცემთო.

საქმის შინაარსი ზოგიერთს გაეგო უკვე, მაგრამ არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ.

ერთი პაწია მოწაფე ასე ხსნიდა დილის კრების მნიშვნელობას:

— იცი, ბიჭიკო? ჩვენ შიტომ დაგვიბარეს, რომ რა-კი ვარდენა გალახა მასწავლებელმაო, ჩვენ მისი ამხანაგები ვართო და ვთხოვოთო, რომ ყველა გავგლახოსო.

— ჩვენ რატომო? რომ გვეტკინება ყბა და ყურები?

— არა, უარი უთხრათ, მასწავლებელმა გიორგიმ ძალიანი მაგარი გალახვა იცის, ყველას ყურებს მოგვხვეს, გვეტკინება!.. — ეუბნებოდნენ ბიჭიკოს.

ზოგიერთები ამ საამხანაგო გალახვის და ყურების აწევის მოლოდინში ყურებზე ხელებს ისევამდნენ, თითქოს ეუბნებოდნენ, — აი, შე უბედურო, რა შავ ღლეს დაგაყენებს მალე გიორგი ზაქარიას ძეო.

უფროს განყოფილებათა მოწაფეები მეტ საქმიანობას იჩენდნენ, მეტი სიფიცხეც მათ ეტყობოდათ.

ისინი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყვნენ და ერთ გადაჭრილ გზას კიდევ ვერ დასდგომოდნენ.

ისეთ ჯგუფებში, სადაც მოლონიერო მოწაფეები ერივნენ, პირდაპირ მოითხოვდნენ მასწავლებლის სამაგიერო გალახვას.

— ჩვენც გავლახოთ, ყურები სულ დავაძროთ, ერთი მასაც ვანახოთ, რა ძნელი ყოფილა ყურის აწევა და გალახვა, — გაბედულად წამოიძახა ერთმა ქერა მოწაფემ, რომელსაც ვაკეთილებს უცოდინარობის გამო წარსულში ხშირად სცემდა გიორგი ზაქარიას ძე.

მართალია, უნდა გავლახოთ, თორემ ეტყობა ის ისევ აპირობს გალახვის დაწყებას.

— გავლახოთ, გავლახოთ!.. — უპასუხეს სხვებმაც. ასეთმა



გაბედულობა წამოძახილობა სხვა ჯგუფების ყურადღებას მიიქცია და მოწაფეები შრავლად დაგროვდნენ ქერა მოწაფის გარშემო.

ამ დროს ხმა აიმაღლა ერთმა თმა-ქოჩორა და წითელხალათიანმა მოზრდილმა მოწაფემ, რომელსაც თმის სიდიდის და ხალათის წითელი ფერის გამო მეტ-სახელად რევოლიუციონერს ეძახდნენ.

— დააცალეთ, ამხანაგებო, რევოლიუციონერს! შეხედეთ, თმა როგორ ორატორს მიუგავს და ხალათი-წითელ—რაზემელს! ის უსათუოდ კარგ რამეს გვიჩვენებს.

— სმენა, ამხანაგებო!

— აბა, სთქვი, ჩვენო რევოლიუციონერო! — შესძახეს მოწაფეებმა აქა-იქ და სიჩუმე ჩამოვარდა.

„რევოლიუციონერმა“ დაიწყო:

— ამხანაგებო! სულ ერთი საათი დარჩა გაკვეთილის დაწყებამდის. ამდენი ხანია ვლაპარაკობთ უთავბოლოდ და არაფერი გამოდის, ერთ აზრს ვერ დავადექით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი თქვენთაგანი ვარდენის გალახვას თავის გალახვას არჩევდა.

ჩვენ უვარდენოთ ცხოვრება არ შეგვიძლია. თუ ვარდენს გალახვენ, ბარემ ჩვენც გაგვლახონ. მაგრამ ახლა, ხომ იცით, სხვა დროა.

ახლა თავისუფლებაა, თანასწორობაა. ხომ გაგიგონიათ იქ, რომ ნიკოლოზ ხელმწიფის ჩამოგდების შემდეგ ყველა კაცები გათანასწორდნენო?

— კი, გაგიგონია!..

— თუ ნიკოლოზი ჩამოაგდეს, — ვანაგრძო „რევოლიუციონერმა:“ — რა გააქირა საქმე ჩვენმა კისერა მასწავლებელმა? ძირს გიორგი ზაქარიას ძე!

— ძირს, ძირს! — იგრიალეს მოწაფეებმა.

— გაუმარჯოს მასწავლებელთა და მოწაფეთა თანასწორობას!

— გაუმარჯოს!

მოწაფეებმა ტაშით დააჯილდოვეს ენამეტყველი „რევოლიუციონერი“.



სიტყვა ითხოვა ქერა მოწაფემ.

— ამხანაგებო! აქ ლაპარაკი ზედმეტია! ჩვენ სახვეწწელი არაფერი გვაქვს. გიორგი ზაქარიას ძეს ნაცემი ახლაც მაჩნია მკლავზე. ხომ ვაგიგონიათ ახლანდელ კრებებზე, — მტერზე შური უნდა ვიძიოთო? ამოვირჩიოთ ხუთი ღონიერი ამხანაგი, გარეთ გამოვიხმოთ გიორგი ზაქარიას ძე, მაგრად გავლახოთ და უთხრათ, თუ კიდევ ვალახავ ვინმეს, უარეს გიზამთ-თქო!

— ვაშა, ვაშა! ეს სჯობია! — ტაშის ცემით უპასუხეს ქერას კრებიდან. შეიქმნა ისეთი ჩოჩქოლი. ეტყობოდა, რომ კრებაზე თქმულით ბევრი არ იყო კმაყოფილი, განსხკუთრებით ბეჯითი და დინჯი მოწაფეები. ისინი ჯერჯერობით შიშით ვერას ბედავდნენ.

უმცროსი განყოფილების მოწაფეები შიშის ზარს მოეცვა. აქამდის ეშინოდათ, კრებამ ყველა მოწაფეების ვალახვა არ მოითხოვოსო, მაგრამ მასწავლებლის ვალახვა უფრო საშინელ საქმედ მოეჩვენათ.

— ჩემო ლადიკო! — ჩასჩურჩულა ერთმა პატარა მოწაფემ მეორეს: — გიორგი მასწავლებელი ღონიერი კაცია, ის ყველას გვაჯობებს, აი, ერთხელ რომ ყური ამიწია, ახლაც მტკივა. დედამ კიდევ მითხრა, მასწავლებელს არ აწუეინო, თორემ ყურს აგიწევო.

— მართალია, ჩემო ვასიკო, ის ყველას გვაჯობებს და მერე კიდევ ყოველთვის გვკითხავს კაცვითილებს და ყოველთვის აგვიწევს ყურებს, — ჩურჩულითვე უპასუხებს ლადიკო.

— ამხანაგებო! მოითმინეთ, სიტყვას თხოულობს ჩვენი კალე! ყური დაუგდოთ, რამე კეკიანურს გვიჩვენეს, — გაისმა უფროს განყოფილებათა მოწაფეების ჯგუფში. მოწაფეები უფრო მკიდროდ შეჯგუფდნენ.

კალე მეხუთე განყოფილებაში პირველი მოწაფეა. ის თანაუგრძნობდა თავის ამხანაგებს მასწავლებლის წინააღმდეგ ამხედრებაში, მაგრამ აქამდის გამოთქმული საშუალება არ მოსწონდა.



— ამხანაგებო! — დაიწყო მან: — ჩვენ ძალიან გასაკვირებელი საკითხს ვარჩევთ. ძნელი სათქმელია მასწავლებელი გავლახოთო, გვალახვა კი უფრო ძნელი იქნება. მასთან ძალიანი სირცხვილიც იქნება ეს, რადგანაც გიორგი ზაქარაიას ძე მოხუცებული კაცია, და აბა როგორ ვახლოვთ მას ხელი? არა, ამხანაგებო, სჯობს მივმართოთ მეორე საშუალებას; წინადადება შემომამქვს: არ შევიდეთ კლასში მანამდის, სანამდის გიორგი ზაქარაიას ძეს არ ვაგვდებენ. როცა ამას ჩვენი შშობლები გაიგებენ, ისინი უსათუოდ გამოარჩიებინებენ მას, და მიზანსაც მივალწევთ.

კალეს სიტყვამ დიდი ტაშის ცემა და აღტაცება გამოიწვია.

— ყოჩაღ, კალე, ვაშა!

— ჭკუაა, ჩვენი კალე, ნამდვილი ჭკუა!

წინა ორატორებმა იგრძნეს თავიანთი დამარცხება და მორცხვად კალეს აზრს იწონებდნენ.

სიტყვა ისევ „რევოლიუციონერმა“ ითხოვა!

— ეტყობა, ამხანაგებო, რომ თქვენ კალეს აზრი უფრო მოგწონთ. საჭიროა: კითხვა მალე გადავჭრათ, თორემ გაცვეთილის დრო ახლოვდება. გიორგი ზაქარაიას ძეც ფანჯრიდან ჩვენსკენ იხედება, და ძირს რომ ჩამოვიდეს, ხელს შეუშლის ყვენს კრებას. კალემ რომ გვითხრა, ის რომ შევასრულოთ, საჭიროა ავირჩიოთ კომისია და მას დავევალოთ ჩვენი ხელმძღვანელობა. ჩვენ უსიტყვოთ უნდა შევასრულოთ კომისიის ყოველი დადგენილება. ამაზე თანახმა ხართ, თუ არა?

— კი, კი! თანახმა ვართ, გაუმარჯოს გაფიცვას;

— გაუმარჯოს გაფიცვას!

— გაუმარჯოს კომისიას!

— ძირს გიორგი ზაქარაის ძე!

ეს სიტყვები ისე ხმამაღლა დაიყვირა კრებამ, რომ დამფრთხალი გიორგი ზაქარაიას ძე გარეთ გამოვარდა და გაცვეთილის დაწყების ნიშანი დარეკა.



\*  
\*  
\*

კომისია ნახევარის გაბედულობით გაემართა გიორგი ზაქარიას ძესკენ. უფროს განყოფილებათა მოწაფეები მას შორიახლო გაჰყვნენ.

უმცროს განყოფილებათა მოწაფეები მთლად წაელო შიშის ქარს და ისე აბუზულად მიაბიჯებდნენ ყველაზე უკან, თითქოს ყოველ წუთს ქვეყნის დაქცევას მოელოიანო.

გიორგი ზაქარიას ძე გაოცებულად შეჰყურებდა მისკენ არაჩვეულებრივად მიმავალ მოწაფეებს.

მიუახლოვდნენ თუ არა მას, გაფიცვის ხალმძღვანელმა კომისიამ ანიშნა ამხანაგებს, რომ შეჩერებულიყვნენ.

მოწაფეები მართლაც შეჩერდნენ და ყველამ, თითქოს ერთის პირით, ერთხმად დასძახეს:

— გაუმარჯოს გაფიცვას, ძირს გიორგი ზაქარიას ძე!

გიორგი ზაქარიას ძე დაიბნა, გაფითრდა, მთელი ტანი აუკანკალდა.

— ეს უთუოდ სიზმარია, ეს ცხადი არ უნდა იყოს... — ჩაიბუტბუტა მან და სამასწავლებლო ოთახისაკენ ლამობდა შებრუნებას, მაგრამ კალემ შეაჩერა.

— გიორგი ზაქარიას ძეე, ჩვენ გაეფიცეთ, რადგანაც თქვენ ჩვეულებად გაქეთ მოწაფეთა გალახვა, ყურის აწევა და გინება, ჩვენ გადავწყვიტეთ სკოლაში არ მოვიდეთ მანამდის, სანამ თქვენს თავს არ მოგვაშორებენ. ჩვენ ახლა სახლში წავალთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება მშობლებს გავაცნოთ...

კალეს ეს სიტყვები გიორგი ზაქარიას ძეს ისე სწედტბოდა ყურებში, თითქოს ვინმე სამარედან ელაპარაკებოდა.

კალეს ლაპარაკის დროს სხვა მასწავლებელნიც გამოვიდნენ გარედ. იმათ სცადეს საქმეში ჩარევა და მორიგებით გათაყება, მაგრამ მოწაფეებმა ისინი ახლოსაც არ მიიკარეს.

ფერწასული გიორგი ზაქარიას ძე გაქვავებულივით იდგა კომისიის წევრების წინ, იდგა სწორად, თითქოს უფროსებს



უკეთებს მოხსენებასაო და ეუბნება, — აქ ყველაფერი იქნება, ბატონო უფროსო, მამატიე, თუ რამე დამიშავებიაო.

მას ორივე ხელეობი ძირს ჩამოეშვა კალეს ლაპარაკის დროს და ტანს ხშირად ხრიდა მისკენ, თავსაც წელწელა უქნევდა, თითქოს უდასტურებს მის ნათქვამსაო.

კალეს სიტყვის ბოლოს წარმოთქმის დროს გაერკვა. მიხვდა, რა შიკ იყო საქმე, ან რა მოელოდა მას. მისი გონება სწრაფად შეტრიალდა ძველი დროისკენ, როცა მოწაფეები ასეთ რამეებს სიზმარშიაც ვერ გაბედებდნენ და მოქადაგებებსაც არ აქაჟანებდნენ სოფლად.

— რას მოვესწარი... ღმერთო! რათ არ მომკალი, თუ ეს დღე მომესწრებოდა!.. რეგვენბო, ტუტუცებო! მიცალეთ მე თქვენ... მაკალეთ... — ძლივს წამოიღულღულა მან, რომ თვალეები დაუბნელდა, კანკალი დაიწყო, ხელეები გულზე იტაცა და საკოდავით წამოიძახა:

— მიშველეთ, ვკედები!

მასწავლებლებმა ის ხელზე დაისვენეს და სამასწავლებლო ოთახში შეიტანეს.

მოწაფეები ვერ დააბნია ამ სანახაობამ, ისინი მობრუნდნენ და სიმღერით გაემართნენ შინისაკენ.

თუმცა სიტყვები ვერ დაეზვირათ, მაგრამ ყველა მარსელიოზის ხმაზე გაიძახოდა:

— რარა-რაა-რა-რა, დაარა-რა-რა-რაა, ღღი-რარა... — მართალია, ბევრი აცრემლა გიორგი ზაქარიას ძეს გულის შეწუხებაში, მაგრამ აბა სად წაუვიდოდნენ გაფიცვის კომისიის გადამწყვეტილებას?

მოწაფეები იშლებოდნენ ზანტად, თითქოს სახლში მისვლა ეზნებოდათო. ცივი წყლის შეპკურებით და სველი ტილოთი მობრუნებულ გულმოსულ გიორგი ზაქარიასძეს კიდევ დიდხანს ესმოდა სამასწავლებლო ოთახში თავის მოწაფეების სიმღერის ხმა:

— დარა-რაა-რა-რა...

— ...გასწი, გასწი, წინ, წინ, წინ!..

(დასასრული იქნება).

არ. ფანცულაია.





## ნიჭიერი გავშვის თავბადსავალი.



ემისთანა ნიჭიერი ბიჭი ჯერ ქვეყანაზე არც დაბადებულა და არც დაიბადება. იქნებ არ დაიჯეროთ, და ახლა, როცა თოთხმეტი წლისა ძლივს ვიქნები, თითქმის რამდენიმე უნივერსიტეტი გავათავე, ჩალაუბნის\*) აკადემია ოქროს ჯვრით დავამთავრე, ქალაქ ჩალაუბანის აკადემია შეიძლება არც კი გაგეგონოთ, ვინაიდან ამ სასწავლებელში მარტო ჩემისთანა ნიჭიერ ბავშვებს იღებენ. ჩემთან მხოლოდ ერთი ახალგაზდა სწავლობდა, გვარად ზარმაციშვილი. საქობოს უნივერსიტეტს მეორე ფაკულტეტიდან მივანებე თავი, რადგანაც მედიცინა ძალიან შემეჯავრდა. კოლოთოს უნივერსიტეტშიც სამი თვე დავრჩი. მხოლოდ ოზანის, კოტაიანის და ნუკრიანის აკადემიები ძირის ძირობამდი მოვიარე; დამრჩა ერთი აზანბურის სამხატვრო აკადემია, სადაც მხოლოდ ერთი თვე ვსწავლობდი.

რა უთხრა ამ ახალთაობის ხალხს: იმათ ამირიეს გზა და კვალი, თორემ ახლა სახელოვანი მხატვარი ვიქნებოდი; რალაც რეველიუტია მოიგონეს, და აკადემიაც მიიკეტა..

\*) აქ და შემდეგ სტრიქონებში ჩამოთვლილია კახეთის პატარა სოფლები.

ამრიგად, როგორც ნიკიერმა ბავშვმა, გული არ გავიტეხე და სიღნაღის სამოქალაქო სკოლაში ამოვეყავი თავი. სამი წელიწადი ერთი-ერთმანეთზე ერთსა და იმავე განყოფილებაში ვსწავლობდი; ეს იმიტომ, რომ საფუძვლიანად შემეხსწავლა, როგორც მათემატიკა, ისე ქიმია და სხვა...

მაგრამ დაღუპოს ღმერთმე ავი აღამიანი, აქაო და ყველაზე ნიკიერი არისო, მომიღო რაღაც შარი ჩვენმა მასწავლებელმა და სკოლიდან გამომავდო. რაღას ვიზამდი: ავდექი და ჩემი საყვარელი წიგნებით, რომელთაც რაღაც სასწავლით ოთხ-ოთხი ფურცელი ღა შერჩენოდა, ჩემს ქოხს მოვადექი. ვიფიქრე: ასეთი ბეჯითი სწავლის შემდეგ დასვენება არის სა-



ჭირო მეთქი, მაგრამ მისვლისთანავე მამაჩემი რაღაც ცუდ გუნებაზე დამიხვდა: ხომ იცით—ახლანდელი მამები რა რჯულიანანი არიან: წავლენ, ან ბანქოში წააგებენ ფულს, ან სამსახურში უფროსი საყვედურს ეტყვის, და ცოლშვილზე კი ამოიყრიან ხოლმე ჯავრს. მეც ასეთი ბედი მეწია სწორედ: ყურები ვადმოკიდებული რათა გაქვსო, ცხვირი ჩამოშვებულიო, და ვასწორება მოინდომა, მაგრამ სიცოცხლე გქონდეთ: ერთი

ყურის აპერაციის შემდეგ თავი მივანებე აპერაციის პროფესორ მამაჩემს და ისევ სიღნაღისაკენ ვავექანე.


ვინცკი სიღნაღში ყოფილა კარგად ეცოდინება, რომ ანაგის და ვაჭირის საზღვრიდან იწყება კარგად მოზრდილი ხევი, „ზარიაულად“ წოდებული, რომელიც ქ. სიღნაღამდე არ თავდება. აი ამ შუა ხეზე ერთ კაცს ღვინით სავსე ტიკი გადმოვარდნოდა სახედრიდან (ვირს ჩვენში სახედარს ეძახიან, აღნიშნულ პირუტყვთა მთავარი კომიტეტის დადგენილებით). მოდი, ქაჯან, მიშველე ტიკის აწევავ, — მითხრა, და მეც ხათრი არ გაუტეხე, მაშინვე ვსტაცე ხელი ტიკს და ისკი იყო სახედრის წელზე იდებოდა, მაგრამ უეცრად გამეშვა ხელი და წვეტიან ქვაზე გადიფხრიწა.



— ეჰ, რა წითელი ღვინო ყოფილა, წავიდუღუნე, მაგრამ ვერცკი მოვასწარ ამის თქმა, თავში მწვავედ მომხვედა მუშტი და მეც მივანებე თავი ჩემს ხეპრე თანამგზავრს და საჩქაროდ გავსწიე სიღნაღისაკენ. სიღნაღში ძალიან ჩქარა ავედი. ვიფიქრე — საღ წავიდე მეთქი და გადავსწყვიტე უმჯობესია სამსახურში შევიდე, ცოდნა საკმაოდა მაქვს და საღ არ მიმიღებენ. ამის შემდეგ



ბევრი აღარც მიფიქრია: თავ-გატეხილასთან (თავ გატეხილს წყაროა სიღნაღში) ხითარა მეწვრიმაღეს მივაშურე და მოურიდდი კიდევ თვეში ერთ წყვილ ქალაქნად და სამ მანეთად. თუ ყოჩაღად იმსახურებ, ორ აბაზს კიდევ მოგიმატებო, დამპირდა პატრონი, და მეც, რაღა თქმა უნდა, აღუთქვი რიგინად სამსახური. აბა ჩაყარე ტომარაში თხილი და გარეთ გაცხრილეო. ერთი წუთის შემდეგ უკვე ქუჩაში ვიყავი თხილის ტომრით, მაგრამ ნათქვამია: უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევო; სწორედ მე მომივიდა ამ გაცხრილვის დროს: აკი გამისხლტა ხელიდან ტომრის პირი და მთელი თხილი ქუჩაში მოიფინა, მაგრამ მე ვინ დამაცადა აკრეფა; მთელი სიღნაღის ბიჭები კალისავეით დაესივნენ; მხოლოდ ჩემმა პატრონმა ხითარამ ჯოხს წამოაგლო ხელი.



ეპ, რადგანაც ასე მომიხდა, აღარა ღირს სამსახური მეთქი—ვიფიქრე და არც კი მოუცადე პატრონს დახლიდან გამოსულიყო, თუმცა შორიდან მესმოდა: მოდი ჯოხი მაინც წაიღე, ძაღლებმა არ გერჩოლონო...

სალამო გახლდათ, როცა ნუკრიანში ავედი ღ ერთი ღვდლის სახლს მივატანე.—მაშაო, მნათე არა გქირდებათ,—ვკითხე. ღვდელმა ჯერ წვერზე ჩამოისვა ხელი, შემდეგ ამხედ-ჩამხედა და მითხრა:

—სადაური ხარო?

—კოტეხელი გახლავარ მეთქი, ვიცრუე. არ მინდოდა გაეგო, ვინც ვიყავი, რადგანაც ძალიან მეთაკილებოდა. ასეთი ნასწავლი და მნათეობა?

—შობლები არა გყავს?—მკითხა კვლავ ღვდელმა.

—არა მეთქი,—კვალად ვიცრუე.

კეთილი, — მითხრა ღვდელმა და სახლში შემიყვანა. ჩემოტელა შეილებიც კი ჰყავდა. მე მაშინვე იქვე კუთხეში დამსვენს, და რა გინდა, სულო და გულო, ვახშმად იქ არ გაჩნდა: პური შოთი ნახევარი; მართალია ცოტა შავი აბლაბუდა ჰქონდა, მაგრამ ეს პურმა ყოველთვის იცის. ერთი ნაჭერი ზურგაცილი; ისე იყო გამხმარი, რომ მარლი ხორხოშელასავით ეყარა ზევიდან, და ერთი ლამბაქი წანდილი; თუმცა აზრით გავიგე, რომ ორი კვირისა მაინც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჩემმა წვეტიანმა კბილებმა ვერცერთი მარცვალი ვერ გატეხეს. მხოლოდ პურის მოკმეჩის ღროს კი კედელს ისე ვათხლიშე კინკრინო, რომ იმ ნაჭერ ზურგიელის ტოლა კოპი დამაჯდა.

ძალიან ბევრი აღარ მიფიქრია: ვახშამი რომ გიახელით, გარედ გამოვედი ახალი თანამდებობის საშოვნელად, მაგრამ სამწუხაროდ უკვე დაღამებულიყო. ბიჭი რაღა იქნაო, მიკითხა ღვდელმა ცოტა ხნის შემდეგ. მე გარეთ გავტრუნე სული.—წადი, კაცო, ხომ არსად დაეძინა—გულმტკივნეულად სთქვა ღვდლის ცოლმა. მართლაც, შეენიშნე, რომ ხელის ლამპით ღვდელი ჩემს საძებნელად ემზადებოდა, ამიტომ ვარჩიე ისევ

დამალვა და იქვე ბაღაში გადავხტი, სადაც აუარებელი ფუტკრის გეგები იყო. ვხედავ, რომ ღვდელი უკან მომდევს, აქ ძალიან გამოქირდა საქმე. შემატყო კიდევ—ვიმალებოდი. თვლივ მომკრა, რომ ბაღაში ვარ. რაღა მეშველება მეთქი—ვიფიქრე. ერთ ცარიელ სკას წაუაწყდი. ბევრი აღარ მიფიქრია, ჩავჯექ სკაში, საჩქაროდ დავიხურე ხუფი. პატარა ქუქრუტანიდან უცქერი, რომ ღვდელი გაფაციცებით მეძებს, მაგრამ მე უფრო მოვიბუხე სკაში ისე, რომ ორი სხვაც ჩავეტოდა ჩემთან.





დიდმა ხანმა გაიარა, მაგრამ მე მაინც ვერა ვებედავ სკი-დან ამოსვლას. იქნებ აქ საღმეა ჩამალული, ვფიქრობ, რომ გამოვიდე და მტაცოს ხელი—რაღა ვქნა? მამალმა ორი იყიელო კვლავ გამოვიტყორითე, და რაღაც ლანდი შეენიშნე. ვილაც ადამიანი დაფარვატებს სკებს შორის, ხან ერთს ასწევს, ხან მეორეს. აქ კი ცოტა არ იყოს გამაციე-გამაცხელო: ვიფიქრე—ლვდელია მეთქი. ჩემმა ლოდინმა დიდხანს არ გასტანა: მალე ჩემ სკამდინაც მოვიდა, რამდენჯერმე ამწია. შემდეგ მოსდო თოკი და წამომიკიდა ზურგზე.

ვაიმე, მორჩა ჩემი საქმე მეთქი და იმედი ვადვიწყვიტე-კარგა ხანს მატარა ზურგზე. იმდენ ხანს, რომ მისი ხვნეშა ერთ ვერსზე გაივონებოდა. თითქმის ინათა. მე ტუტურუტანიდან ვუცქერი მის დაგძელებულ კისერს. ძაღლების ყუფის ხმა მომესმა. ვიფიქრე—უსათუოდ სოფელი იქნება მეთქი და ცოტა არ იყოს იმედი მომეცა. ძაღლები მოგვიახლოვდნენ: ზედ ჩემ სკასთან არიან. როგორც ვატყობ, ამ ლვდელსაც აბარბაცებენ. აი კიდევ მგონი ფეხებშიაც ეცნენ და ერთბაშათ ენახე, დაბლა ბრავეანი მომძვრა. ერთი დავიღრიალე და წამოვებტი კიდევ-ლვდელმა კი არა, ვილაც კაცმა ჩემს დანახვაზე საშინლად დაიყვირა და ისე მოჰკურცხლა, რომ ძაღლებიც ვერ დაეწივნენ. ახლა კი მივხდის: ეს ლვდელი კი არა, ქურდი ყოფილა, თაფლი სდომებია, და რადგან ყველა სკაზე მძიმე ვიყავი, მე ამომარჩია.. როცა შიშს განოვერციე ვათენება იყო. ახლა მივხდის, რომ იოარზე ვიყავი. მინდორზე აუარებელი თათრების ძროხა ირეოდა. მივედი ერთ მოხუც თათართან, რომელსაც წვერი და ფრჩხილები ახალფერით შეეღებდა: აღბად მათი აღდგომა თუ იყო და კვერცების ღებაში მოუეიდა.

— შეხბორეთ არ გინდა დავიდგე, ყონალო? — უთხარი.

— ვინა ხარ, ბიეო?

— რა გინდა, ვინცა ვარ: მე ძროხა ძალიან მიყვარს და მიინდა ძროხაში დავდგე.

— ზალიან კარგი. ზადი აგერ იქ, — მანიშნა გაშლილ ძრო-



ბისაცენ, სადაც ერთი პატარა თათარი მწყემსი, გუგუთზე და-  
 ყუდებული, თვალს ადევნებდა ძროხას, სალამო რომ მოახლო-  
 ვდა, ძროხა ბაკში დაამწყვდიეს და დიდი ცეცხლი დააანთეს  
 ხშიადის გამოსაცხობად. ვახშიმი უკვე შზად იყო. პატარა ყვე-  
 ლის ნათალი და პურის ნატები მეც მომცეს; მხოლოდ თვი-  
 თონ კი ერთი პატარა ქილა მოიდგეს გვერდით. აზრით გავი-  
 გე თაფლი, უნდა ყოფილიყო, აბა თუ მაქამონ, — ვლუდუნებ ჩე-  
 მთვის და მალ-მალ ქილისკენ ვიკვირები, მაგრამ ისე მათ გა-  
 უმრავლდეთ მკედლები, ყურადღებაც არ მომაქციეს.

ვახშიმიც გათავდა. მე იქვე ნაბღის ნაგლეჯში გავეხვიე,  
 მხოლოდ ცალი თვალი მაინც ქილისკენ მიკირავს. კარგად



ვნახე, საცა შეინიხეს. ვნახოთ, არ მაჰამეთ!—ვიმუქრები გულში. თათრებიც აჰა-იქ მიეყარნენ. კარგა ღამე გავიდა. მთვარეც ამოვიდა. მე მაინც ძილი არ მეკარება: ისევ თაფლის ქილა მაგონდება, როცა გული დავაჯერე, ყველას ეძინა და იმათმა გულიანმა ხერინვამაც დამარწმუნა. მძიმედ, ფეხ-აკრეფით, მივიპარე ქილასთან: რა თქმა უნდა: მალე ვიპოვე და ჩავყავ ხელი; კარგად რომ მოვბლუჯე, აკი ხელი ველარ ამოეცია. ფუ, გაგაოხრა: რა უღიბლო ვყოფილვარ. გავშალე ხელი: ისევ ცარიელი უნდა ამოვიღო, არა და ასე მიკიდია ქილა ხელზე.

არ ვიცი რამ მომგვარა ასეთი შშვენიერი აზრი: ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ქილა უნდა გამეტეხა, რათა ხელიც გამენთავისუფლებინა და თაფლიც მეჭამა. გარშემო მივიხედ-მოვიხედე. ბედათ იქვე ახლოს დავინახე მთვარის შუქზე ვეება ქვა. სიციცხლე გქონდეთ.—აღარც ვაციე, აღარც ვაცხე-





ლე და ფლავიანი კი გაეაყრევიანე ქილას. მაგრამ დახე უბედურებას: ქვა კი არა, თურმე მოპარსული თათრის თავი კი ყოფილა. თათარმა ერთი მწარედ დაიღრიალა ისე, რომ გული კინალამ ბუდიდან ამომივარდა. აბა, ბიჭო, თუ შეგიძლიან, და დავცოცხე კიდევ. კარგი მთვარიანი ღამე იყო, თორემ საღამე ჩავიჩეხებოდი. გულ-გახეთქილი მივბოდი, მეც არ ვიცი სად. შორიდან მესმოდა თათრების ყატყატი, მაგრამ რადგან არაფერს მომდევდა, მძიმედ დავიწყე სიარული და ვათენებისას კვალად ჩვენს სახლს მიუახლოვდი.

ჩემი მოგზაურობისა და სამი დღის დაკარგვის გამო მამაჩემი კარგ გუნებაზე დამიხვდა, ძალიან თურმე დარდობდა, რომ მისი ოპერაციის გამო არსად გადავკარგულიყავ. აღერსიანად დამკოცნა და დამპირდა ახალწლისთვის კრიალა წაღებს. მეც ბოდიში მოვიხადე უეცარი მოგზაურობისთვის და მამაჩემსაც აუხსენი ჩემი სურვილი სასულიერო აკადემიაში შესვლის შესახებ, ვინაიდან ძალიან მიყვარს ლეღლი, იმიტომ რომ ქორწილია, თუ ქელეხი, ნათლობა, თუ წირვა — უღვდელოდ არაფერი შეიძლება.

ნიკ. დარაშვილი.



# ლურჯი ფრინველი.

(ფერია 6 მოქ. და 12 სურათად).

## მ. ლ. მ. მ. მ. დ. ნ. ი.

დედა-ტილ	მცველნი	
ტილტილ	დიდ ბედნიერებათა უფროსი	
მიტილ	სხვა ბედნიერებანი	
ფერია	პატარა ბედნიერებანი	
პური	კაბუკნი	
ცეცხლი	კარგამყოფობის ბედნიერება	
წყალი	პაერის სისუფთავის ბედნიერება	
რძე	შშობლებთა სიყვა-	
შაქარი	რულის	"
ძალი	ლოურჯი ცის	"
ბატა	ტყის	"
ხინათლე	მზიან საათების	"
საათები	შემოდგომის	"
მამა-ტილ	მზის ჩასვლის	"
ბებია-ტილ	ვარსკვლავთა ამო-	
პაპა-ტილ	სვლის	"
პიერრო	წვიმის მოსვლის	"
რობერ	ზამთრის ცეცხლის	"
შანეტ	უძანკო ფიქრების	"
მადლენ	ნამში ფეხშიშველა	
პიერეტ	სირბილის	"
რიკეტ	სამართლიანობის სიხარული	
პოლინ	სიკეთს	"
ლამე	დიდების	"
ძილი	ფიქრის	"
სიკვდილი	გაგების	"
სურდო	სილამაზის	"
ცხრა პლანეტთა მეფე	სიყვარულის	"
შეყვარებულნი	დედის სიყვარული	
ჟამი	უცნობი სიყვარულნი	
დასაბადებელი მშა	მეზობელი ბერლინიო	
ლოურჯი ბავშვები	მისი პატარა ქალი	



## მომხედება პირველი

სურათი პირველი. ————— შუშის მწრელის ქოხი.

სცენა წარმოადგენს შუშის მწრელის ქოხს. სოფლური, უბრალო  
 შენობა, მაგრამ დატკეური ვა არა. ბუნარში პატარა ციციხეა ახია,  
 სამზარეულოს ნივთიულობა, ხის განჯინა, კილობანა, კედლის საათი,  
 ჯარა, ოსკანი, სიბუღის ქვეშაც რკინის დიდი ჯამა დაკიდებულია მა-  
 გიდაზე ღამშა ახიათ. განჯინის ერთსა და მეორე მხარეზე, ატაკზე  
 წვანან ძაღლი და კატა. პირუტყვის თავი კედელზე უდევს და სძინავთ.  
 ამ ორთა შუა დიდი თავი შაქარა დევეს, შეხვეულია ღერჯსა და თეთრ  
 ქაღალდში. კედელზე გაღია ჰკილია, გაღიაში - გერიტია. საღრმეში  
 ორი ფანჯარაა.., ამ ფანჯრებს შიგნით დარბევა მიხურულია.  
 ერთ-ერთ ფანჯარასთან პატარა გძელი სკამია. მარჯვნივ—სახლში შემო-  
 სავალი დიკავიტიანა დახველებული კარება. მარჯვნივ კიდეკ ერთი  
 კარია. სხვენში ასსეული ვაბე. მარჯვნივ ორი პატარა სემპაწვილო  
 სწოლია, თითო სწოდს თავთან უდვას სკამი, რომელზედაც ფაქიზად  
 დაკეცილი ბავშვის ტანისმოსია აწვეა.



ფარდა რომ აახდება, ტელტელსა და მიტილს ტყუილად სძინავთ თავიანთ ზეტარ საწოდშია. დედა-ტიღ ერთხელ კიდე ამოუკვდავს ბავშვებს სიბანს, ცოტა ხანს სიყვარულით დაჭყურებს შვადებს, შემდეგ მამა ტიღს, რომელსაც კარებში თავი გამოუყვია, — თითათ ახაშნებს: ჩუმათაო; ღამშას ჩაქრობს და ფეხკარეფით კადის მარჯვენა. სიგნაზე რამდენსამე ხანს ბნელა. შემდეგ თათა განათდება. სინათლე შემოდის ჭურჭურტანებიდან. ღამშა თავისთავად ახნთება. ბავშვები გამოადვილებენ — ღაჯინზე წამოსხდებიან.

ტიღტიღ. — მიტილ?

მატიღ. — ტილტილ?

ტიღტიღ. — გძინავს?

მატიღ. — შენა?

ტიღტიღ. — რო მეძინოს, ხომ ვერ დაგელაპარაკებოდნი...

მატიღ. — შობა დღეს არის?

ტიღტიღ. — არა, ხვალ არის, მაგრამ წელს პატარა შობა ჩვენ არას მოგვიტანს\*)...

მატიღ. — რატომ?

ტიღტიღ. — დედამა თქვა, ქალაქში ვერ მოვახერხე წასვლა, რო შემეტყობინებინაო.

მატიღ. — მერმის?... მერმისამდი დიდი ღროა?

ტიღტიღ. — დიდი ღროა...

მატიღ. — აჰა.

ტიღტიღ. — ბიჭოს, დედას ღამშის გაქრობა დაჭვიწყებია!... იცი რა?...

მატიღ. — ?

ტიღტიღ. — მოდი აედგეთ...

მატიღ. — როგორ შეიძლება!...

ტიღტიღ. — აქ ხომ არავინ არის, ვინ ღგვიშლის! დარაბებსა მხედვ?

მატიღ. — ოჰ, როგორი განათებულია!...

\*) ბელგიაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში შობა დღეს შობილები შეილების ფენსაცმელს ბუხართან დააწყობენ: „პატარა შობა“ საჩუქარს მოგვიტანსო. (მთარგ.)

ტაღტაღ.— ეს ბედნიერი დღის სინათლეა...

მატაღ.— რა ბედნიერი დღისა?

ტაღტაღ.— აი, ჩვენ პირდაპირ რომ მდიდარი ბავშვები დგანან, იმათი შობის ხე ანათებს ასე. მოდი დარაბები გაეალოთ...

მატაღ.— ვითომ შეიძლება?

ტაღტაღ.— რატომაც არაო?... ვინ ადაგვიშლის, მარტოკანი არა ვართ? მუსიკის ხმა ხომ გესმის?... მოდი აუღვეთ. (ბავშვები ადგებიან, მარბიან ფანჯარასთან, ზეღუნ გრძელ სკამზე და დარბებს ადებენ. სინათლე უხვად მოაუფიქრებია ითანს. ბავშვები ხარბად აცქარებთან გარედ). სუყველაფერი ჩანს!...

მატაღ.— (მატარა ადგილი უჭირავს სკამზე) მე ვერაფერს ვხედავ...

ტაღტაღ.— როგორ თოვს!... აგერ ექვს-ცხენიან ეტლს ჰხედავ?...

მატაღ.— საიდანაც თორმეტი პატარა ბიჭი გადმოხტა?... ჰო, ვხედავ...

ტაღტაღ.— სულელო, ბიჭები-კი არა გოგოები არიან!...

მატაღ.— თუ ბიჭები არ არიან, შარვლები რაღად აცვიათ?

ტაღტაღ.— რა გელაპარაკო, შენ მაგისი არაფერი გაგეგება. რას მაწევბი, გოგო?..

მატაღ.— მე შენთვის ხელიც არ მიხლია...

ტაღტაღ.— (რამეღსაგ მთეღა სკამი უჭირავს). — რაა, რომ მთელი ადგილი შენ გიჭირავს?..

მატაღ.— ერთი ბეწო ადგილიც არა მაქვს, აბა რას ამბობ?..

ტაღტაღ.— ჰო, კარგი, ვაწუმდი... ხეს ჰხედავ?..

მატაღ.— რა ხეს?

ტაღტაღ.— შობის ხეს გეუბნები, გოგო, შენ კი კედლებს უყურებ...

მატაღ.— კედლებს იმიტომ ვუყურებ, რომ ადგილი არა მაქვს.

ტაღტაღ.— (სღიანს მატარა ადგილს დაუთმობს). — აჰა, გეყოფა?.. ღმერთო, რა დიდი შუქია, რა დიდი შუქია!..



- შიტაღ. — ისინი ვილა არიან, ეგრე რო ხმაურობენ?
- ტიღტიღ. — მუსიკოსები...
- შიტაღ. — ეგეთი საზე რათა აქეთ, ჯავრობენ?
- ტიღტიღ. — კი არ ჯავრობენ, დაილაღნენ...
- შიტაღ. — ავერ კიდე ეტლი!.. რა მშვენიერი თეთრი ცხენები შეგბული!..
- ტიღტიღ. — გაჩუმდი და უყურე...
- შიტაღ. — ის ოქროსფერი რაღა ჰკიღია ტოტებზე?
- ტიღტიღ. — სათამაშოებია, ვერა ჰხედავ?.. ხმლები, თოუები, ჯარის კაცები, ზარბაზნები...
- შიტაღ. — დედოფლები კი არ არის!
- ტიღტიღ. — დედოფლები სისულელეა, ეგ რაღა ჩამოსაკიღია!
- შიტაღ. — ის რაღა არის, მაგიდაზე რომ აწყვია იმდენი?
- ტიღტიღ. — ჭადები, ნაზუქები, კუპატები, შაქრის პურები, ხილეულობა.
- შიტაღ. — კუპატი მე ერთხელა ვკამე, პატარა რო ვიყავი...
- ტიღტიღ. — შეცა... პურსა სჯობია. მაგრამ ეს-კია-ცოტ-ცოტა შეგხედება ხოლმე...
- შიტაღ. — მაგათ ბევრი აქეთ, მაგიდასავესა. სულ შესკამენ?..
- ტიღტიღ. — სულ შესკამენ, მაშ რას იზამენ...
- შიტაღ. — (ჯერ დაიჯერებს), — მაშ რატომ ახლავე არა სკამენ?
- ტიღტიღ. — ალბათ იმიტომ, რომ არა შიათ...
- შიტაღ. — (გაკვირვებული). — არა შიათ!. რატომ არა შიათ?
- ტიღტიღ. — როცა მოუნდებათ, მაშინ სკამენ, და იმიტომ არა შიათ.
- შიტაღ. — ყოველ დღე სკამენ?
- ტიღტიღ. — ეგრე ამბობენ...
- შიტაღ. — სულ თვითონ შესკამენ? არას მოგვეცემენ?
- ტიღტიღ. — ჩვენა?
- შიტაღ. — ჰო.
- ტიღტიღ. — რათ მოგვეცემენ, რომ არ გვიცნობენ...
- შიტაღ. — ვთხოვოთ...



- ტიღტიღ. — ეგ როგორ შეიძლება!..
- შიტიღ. — რატომაც არა?..
- ტიღტიღ. — იმიტომ, რომ აკრძალულია...
- შიტიღ. — ოჰ, რა ლამაზები არიან!.. რა ლამაზები არიან!..
- ტიღტიღ. — (ძღვანს გახარებულად). — იცინიან!. იცინიან!..
- შიტიღ. — შეხედე პატარებს, როგორ ცეკვავენ.
- ტიღტიღ. — მოდი ჩვენც ვიცეკვოთ!..
- შიტიღ. — (ორივეს სარკმელთან სტუნახებენ). — ვიშ, რა კარგია!..
- ტიღტიღ. — ტყბილ კუპატებს ურიგებენ... სკამენ, სკამენ, სკამენ!.
- შიტიღ. — პატარებიცა სკამენ!.. თითოს ორი შეჭხედა, სამი, ოთხი...
- ტიღტიღ. — (შეტის შეტათ გახარებულად). — რა კარგია!. რა კარგია!
- შიტიღ. — (ვითომ ამათგან არგუნეს კუპატი). მე თორმეტი მერგო..
- ტიღტიღ. — მე კი ოთხჯერ თორმეტი!.. ნუ გეშინიან, შენც მოგცემ. (ვიღაც კარებს აკაკუნებს, ტიღტიღ შეშინდა). — რა იყო?..
- შიტიღ. — (ესევე შეშინებულია) — მამა იქნება!.
- (კარების კლატე თავისთავად მოიხსნება, კარებიც გაიღება, შემოდის ტანში მოხრილი, მოხუცებული, დაბალი ტანის დედაკაცი. მწვანე კაბა აცვია და წითელი ზატარა ქუდი ჰსურავს. მოხუცი კოჭლია, კუზიანი და ნაღვი თვალთ ბრმა; ცხვირი ნაკაბამდის ჩამოსდის; ხელში ჭოხი უჭირავს. ვკვს გარკვეულად, რომ ეს დედაკაცი ფურია უნდა იყოს).
- ფურია. — მომღერალი ბალახი არა გვაქვით?.. ან ლურჯი ფრინველი არა გყავთ?..
- ტიღტიღ. — ბალახი გვაქვს, მაგრამ როდის მღერის...
- შიტიღ. — ტილტილს ჩიტი ჰყავს...
- ტიღტიღ. — მყავს, მაგრამ ვერაფის მიეცემ...
- ფურია. — რატომ?..
- ტიღტიღ. — იმიტომ, რომ ჩემია...





- ფერა. — ეგ შენი ნებაა, რაღა თქმა უნდა... სად არის ფრინველი?..
- ტაღტაღ. — (გაღიანს უჩვენებს). — აი იმ გალიაშია!..
- ფერა. — (სათვალს გააკეთებს, რომ უკეთესად გასინჯოს). — არა, ეს არ მომწონს. მე ლურჯი ფრინველი მინდა... წადი და მომგვარე...
- ტაღტაღ. — საიდან მოგგვაროთ, რომ არ ვიცი, სად არის?..
- ფერა. — არც მე ვიცი... მომლერალ ბალახს შეიძლება თავი დაეანებოთ, მაგრამ ლურჯი ფრინველი-კი უსათუოდ უნდა მომგვარო... პატარა ქალიშვილი მყავს ავად და იმისთვის მინდა...
- ტაღტაღ. — რითი არის ავად?
- ფერა. — ნამდვილად არ ვიცი, მინდა ბედნიერი ვიყო...
- ტაღტაღ. — აჰ?!
- ფერა. — იცით, მე ვინა ვარ?
- ტაღტაღ. — ჩვენ მეზობელ ქალბატონ ბერლინიოს ჰგეგხართ ცოტათი...
- ფერა. — (გაჯავრდება). — სრულებითაც არა. იმ ჯოჯოსთან რა შესადარებელი ვარ?.. მე ვარ ფერია ბერილიუნ...
- ტაღტაღ. — ბატონი ბრძანდებით, ეგრე იყოს...
- ფერა. — ახლავე უნდა წახვიდეთ...
- ტაღტაღ. — თქვენც გამოგვევებით?..
- ფერა. — ყოველდ შეუძლებელია. დღეს დილით კოქობით წვენი შევდგი, და ერთი საათითაც რო მოვშორდე—გადმოვა. (აჩვენებს ჯერ-ჯერათ: კედეუს, ბუხარს და ფანჯარას). — საიდანა გსურთ გაველა, აქედან, აქედან, თუ აქედან?..
- ტაღტაღ. — (გაუბედავად, კარებზე უჩვენებს). — მე აქედან შირჩენია...
- ფერა. — (უნებ გაჯავრდება). — ეგ ყოველდ შეუძლებელია... ღმერთო, რა საძაგელი ჩვეულება აქვს ადამიანს: უბეჭველად ყოველთვის კარებში უნდა ხოლომე გა-



სვლა!. (ფანჯარაზე უჩვენებს). ჩვენ აქედან გავალთ...  
 ჰა, რაღას უყურებთ, ჩაიცვით ჩქარა... (მაეშვება  
 საჩქაროდ ტანს იცვამენ), მოდი, მიტილ, გიშველო...  
 (ჰშველის)...

ტაღტაღ. — ფეხსაცმელი რომ არა გვაქვს?..

ფერია. — ეგ არა უშავს-რა... მე თქვენ მოგცემთ საკვირველ  
 ქუდს. თქვენი შშობლები სადღა არიან?..

ტაღტაღ. — (შარფსიაე ანაშნებს). აი იქითკენ არიან... სძინავთ...

ფერია. — პაპა თქვენი, ბებია თქვენი, ისინი სადღა არიან?..

ტაღტაღ. — გარდაიცვალნენ...

ფერია. — დები და ძმები ხო გყავთ?

ტაღტაღ. — სამი ძმა...

მატაღ. — ...და ოთხი და...

ფერია. — სად არიან?

ტაღტაღ. — აღარც ისინი არიან კოცხლები...

ფერია. — იმათი ნახვა გინდათ?..

ტაღტაღ. — როდის, ახლავე?..

ფერია. — ახლავე რა, ჯიბეში მისხედან თუ? მაგრამ რაკი  
 გსურთ, ნახავთ კიდევ, მოგონების ქვეყანას რო  
 გაივლით... ეს მოგონების ქვეყანა ლურჯი ფრინ-  
 ველის გზაზეა... მესამე ჯვარედინ გზას გასცდე-  
 ბით თუ არა, იმ წამსვე მარცხნივ შეუხვევთ და მიხ-  
 ვალთ... რას აკეთებდით, სანამ მე მოვიდოდი?..

ტაღტაღ. — ტკბილი კუპატების ჰამას ვთამაშობდით...

ფერია. — ტკბილი კუპატიცა გაქვთ?.. აბა მაჩვენეთ!..

ტაღტაღ. — ჩვენ კი არა, მდიდარ ბავშვებს აქვთ, აი იქ პირდა-  
 პირ რო სასახლეა... მოდით გაჩვენოთ. (მაეშვება  
 ფერაას სარკმელთან მიიფანჯნ)

ფერია. — მერე თქვენ რა, რომ ისინი სკამენ?..

ტაღტაღ. — ჩვენ ვუცქერთ, მეტი რაღა გვინდა?..

ფერია. — არა გშურს?

ტაღტაღ. — რათ უნდა მშურდეს?..

- ფერაა. — იმიტომ რო სულ ისინი სქამენ, შენ-კი არ გაძლევენ?  
ტაღტაღ. — ისინი მდიდრები არიან... შეხედეთ, იქაურობა რა-  
ლამაზად არის მორთული...
- ფერაა. — აქაურობას რაღა უკირს?  
ტაღტაღ. — აქაურობა უფრო პატარა და ბნელია, და არც  
ტკბილი კუპატებია...
- ფერაა. — გეუბნები, აქაურობა და იქაურობა ერთი და იგი-  
ვეა, მაგრამ შენ ვერა ჰხედავ...  
ტაღტაღ. — რასა ბძანებთ, მე ძალიან კარგი თვალები მაქვს,  
აქედან ეკლესიის საათს გავარჩევ ხოლმე, მამა-ჩე-  
მი კი-ვერა...
- ფერაა. — (კაღვევ გაჯაურდება) გეუბნები, ვერა ჰხედავ-მეთქი...  
აბა, თუ კარგათა ხედავ, მითხარი-როგორი ვარ?..  
(ტაღტაღს კრძაღვასგან ვერა უთქვამს რა) მიპასუხე,  
მიპასუხე, და მაშინ გავიგებ, კარგადა ხედავ, თუ  
არა... ლამაზი ვარ, თუ ჯოჯო?.. (ტაღტაღ უხერ-  
ხულ მდგომარეობაშია და ჰერაფერა უთქვამს) რატომ  
არ მიპასუხებ?.. ახალგაზდა ვარ, თუ ბებერი?..  
წითელი ლოყები მაქვს თუ ყვითელი?.. იქნება-  
გგონია კუზიც მქონდეს?..  
ტაღტაღ. — არა, არა ვინ ამბობს!.. ისეთი პატარაა, რომ არც  
კი სჩანს...
- ფერაა. — რა ვიცი, შენ-კი ისე მიყურებ, თითქოს ვეებერ-  
თელა იყოს... იქნება ისიც გგონია, რომ მოკაკუ-  
ლი ცხვირი მაქვს, ან კიდევ თვალი მაქვს ამო-  
თხრილი?..  
ტაღტაღ. — არა, არა... მაინც ვინ გამოვთხარათ?..  
ფერაა. — (ძლიან გაჯაურებულია) როგორ თუ ვინ გამოვთხარა?  
აბა გამოვთხრილი სად არის, შე უზრდელო, შენა?  
ეს თვალი მეორეზე უფრო დიდია, უფრო საღი,  
უფრო ნათელი, უფრო ლამაზი და ცასავით ლუ-  
რჯია... ჩემ ოქროს ფერის თმას ხომ ხედავ?... ხე-

დეე რამდენია?.. თავზე რომ აღარ ეტევა, ახლა სხვაგანაც ამოდის... აი, ხელებზედაც ამოსულა, ხო ხედავ?..

ტაღტაღ. — დიახ, ვხედავ ცოტაოდენს აქა-იქა...

ფერია. — როგორ-თუ აქა-იქა?.. ამ ნაწნავეებს, ამ ოქროსფერ ხუჭუჭ კავეებს ველარა ხედავ?.. ვიცი, ზოგნი ამბობენ, ვერასა ვხედავთო, მაგრამ შენ ხომ იმ აესულეებს არა გეეხარ?..

ტაღტაღ. — შე ძალიან კარვად ვხედავ ყველაფერს, რაცა ჩანს...

ფერია. — ისიც უნდა დაინახო, რაც არა ჩანს... დღევანდელი ხალხი გასაკვირველია... მას აქეთ, რაც ფერიები აღარ არიან, ველარასა ხედავენ და აღარც რა სწამთ... კარგი რომ თვალების ასახელი მანქანა ყოველთვის თანა მაქვს... ეს რა არის?..

ტაღტაღ. — ოჰ, რა ღამაში მწვანე ქუდია!.. ეს რაღაა, რო ბჭყერიალებს?..

ფერია. — ეს ის აღმასია, რომელიც ადამიანს ყველაფერს დაინახვებს...

ტაღტაღ. — აჰ!..

ფერია. — მაშ!.. ვისაც ეს ქუდი ჰხურავს, უნდა მიატრილოს ეს აღმასი მარჯვენა მხარეს, აი ესე... მაშინ აღმასი დააწვება თავს ისეთ ალაგას, რომელიც არაფერ იცის, და თვალეები აეხილება.

ტაღტაღ. — რო დამაწვება, არ მეტკინება?..

ფერია. — სულაც არა... აღმასი შელოცვილია... ადამიანი იმ წამსვე დაინახავს, რაც არის სხვა და სხვანივთებში: პურის, ღვინის, პილპილის სულს — მაგალითად...

მატაღ. — შაქრის სულსაც დაეინახავთ?..

ფერია. — (გაჯავრდება) რაღა თქმა უნდა... მეტი კითხვა მეჯავრება... თქვენა გგონიათ, შაქრის სული პილპილის სულს სჯობია?.. აი, აჰა, ეს დაგვხმარებათ ლურჯი ფრინველის ძებნაში, ამაზე მეტი არა

მაქეს-რა... მართალია: უჩინ-შაინის ბეჭედი, ან კიდევ მფრინავი ხალიჩა უფრო გამოგადგებოდით ამ საქმეში; მაგრამ საცა შენახული მქონდა, იმ განჯინის ვასალები დაეკარგე... ჰო, კინალამ არ დამავიწყდა... (აღმასს უჩვენებს)... აი ასე უნდა გექიროს... ცოტათი რო მიატრიალო, დაინახავ წარსულს. კიდევ ცოტათი რო მიატრიალო, დაინახავ მომავალს... საკვირველი მანქანაა, ადვილია და არც ხმაურობს...

ტილტილ. — მამა წამართმევს...

ფერია. — ვერც-კი დაინახავს... სანამ ეს ქუდი ზედა გხურავს, მაგ აღმასს ვერაფერს დაინახავს. აბა სცადე... (მატარა მწვანე ქუდს დაჭხურავს). — ახლა მიატრიალევ აღმასი მარჯვნივ...

ტილტილ. — (მატრიალებს თუ არა აღმასს, საკვირველი ცვლილება მოხდება უკვლავ ნივთში. მოხუცი ფერია უნებ საკვირველ ღამაზე ქალად იქცევა. კედლების ქვა, როგორც ფიარუხა, ისე კალურუდება; როგორც ძვირფასი თვლი, ისე დაიწყებს ბქვერადს... დარბიული აგვეი თათქოს განახლება. ხის შავიდა ისე დიდებულად გამოაუერება, თათქოს მარმარადოსიაო... კედლის საათიგ მსაარულად მუშაობს. საათის კარება გაღება და იქიდან გამოვა თორმეტი ღამაზე ქალწული, რომელნიც გულანად იცინიან და ნეკვეენ. ასმას მშვენიერა მუსიკის ხმა. ტილტილი გაკვირვებულია. საათებს რო დაინახავს, აღტაცებით შევერებს).

ტილტილ. — ეს ღამაში ქალები ვინ არიან?..

ფერია. — შენი სიცოცხლის საათებია... უბარიათ, რო ცოტა ხნით მაინც განთავისუფლდნენ სიჩუმისაგან...

ტილტილ. — კედლები რაღათ არის ასე განათებული? შაქრისაა თუ ძვირფასი ქვებისა?..

ფერია. — ყველა ეს ძვირფასია, მაგრამ ადამიანი მხოლოდ

ზოგიერთსა ხელაეს... (ამ დაპირაკში რომ არიან, სხვა ცვლილება მოხდება: ოთხი კაცუნა, ფქვილში ამოსურალი, ამოხტებაან კადობნიდან და მაგიდასთან გაეუბავით გზა-არეუღნი დარბიან. ეს ოთხი კაცუნა ჰურას სულეები არიან. ბუნრიდან გამოხტება წითლად მოსილი კაცუნა; ეს არის ცეცხლის სულა. ცეცხლის სულა უკან დასდევს ჰურას სულებს და კისკისებს.)

**ტილტილ.** — ეს უმზგავსი კაცუნები ვილა არიან?..

**ფურია.** — ეგენი პურის სულეები არიან... ისარგებლეს, რო სიმართლის მეფობა მოვიდა და კილობანს თავი დააღწიეს...

**ტილტილ.** — ეს დიდი ეშმაკი ვილაა, ესეთი ცუდი სუნი რომ ასდის...

**ფურია.** — სუუ... ეგრე ნუ ყვირი... ეგ ცეცხლია, მეტის მეტი ცუდი ხასიათი აქვს...

(ამ დიალოგმა როდი დაუშალა ფეკურულ ცვლილებას... ძაღლი და კატა შეჟეირებენ და გაიქცევიან. იმათ ალაგს დაიჭერს კაცი, რომელსაც ძაღლის თავი აქვს და ქალი; რომელსაც კატის ზირასსე აქვს. კაცუნა, რომელსაც



ცეცხლი.

ბღღის სხე აქვს, და რომელსაც ამას იქით მოკლე-  
 ბღღს ვუწოდებთ, ამჟამად, მფარდება ტელეფონს და  
 დაუწევს დაქუცს... ქალი რომელსაც კატის სხე აქვს  
 და რომელსაც ამას იქით კატას ვუძახებთ, ჯერ ზარს  
 დაიბნის, ქიხირს გადააუარცხნის, უღფშებს გადაგრესს  
 და უკვლავ ამის შემდეგ მოუხდობდება შიტელის).

ბღღა. — (ჭეჭეს, ხტუნაბის — მოუსვენარა). ჩემო პატარა  
 ღმერთაე!.. ვამბოჯობა, ვამბოჯობა, ჩემო პატარა  
 ღმერთაე!.. ძლივს, ძლივს მელირსა ლაპარაკი...  
 იმდენი რამე მაქვს სათქმელი!.. ამოდენა ხანს ვყე-



ბღღა



კატა

ფდი, კუდს ვიქნევი, მაგრამ ვერა გაგაგონე რა... ახლა-კი... გამარჯობა, გამარჯობა... მიყვარხარ, მიყვარხარ... გინდა გასაოცარი რამ ჩავიდინო?... გინდა თათებით მავთულზე ვიარო, ან ყირამალა ვიხტუნო?..

ტიტა. — (ფერას). — ეს ვაჟბატონი ვილა, ძაღლის სწებ რომ აქვს?..

ფერა. — ველირ იცანი? ეგ შენი ძაღლის სულია...

ტიტა. — (შოუსხლაფდება შატალს ფრთხილად და ცეროთმონიით ხელს გაუშვებს). — დილა მშვიდობისა, ლამაზო ქაღალბატონო...

შატალ. — დილა მშვიდობისა. (ფერას) ვინ არის?

ფერა. — აღვილი გასაგებია, ვინც არის... შენი კატის სულია, აკოცე...

ბღლი. — (კატას თათს ჰკრავს). — მეც, მეც უნდა ვაკოცო პატარა ღმერთს... პატარა ქალსაც, პატარა ქალსაც... ყველას უნდა ვაკოცო, ყველას, ყველას.. რამდენს ვისიამოვნებთ... მოდი ერთი კატა შევაშინო... ჰუმ, ჰუმ, ჰუმ...

ტიტა. — უკაცრავად, ბატონო, მე თქვენ არ გიცნობთ...

ფერა. — (ბღლს ვახს მთუდერებს). — ე მანდ შენ შენთვის იყავი, თორემ ისევ სამულდამოდ დამუნჯდები... (ჯარა მარდათ დაიწეებს ტრიალს და თითქოს მთვარას სხივებს ართავს. ანკანადან წყალი სამდურათ დენას დაიწეებს, რკინას დიდი ჯამი, სიცა ეს წყალი ჩადის, განათდება და იქიდან ამოვა წელის სული, ახალგაზდა, თმა-გაწეწილი ქალი; სხე ისეთი აქვს, თითქოს ტირისო... ამოვა თუ არა, იმ წამსვე გრძელს მთვარდება სანხებრად.

გ. ჯაბადარი.

(შემდეგი იქნება).







## მარიამ დემურიას ხსოვნას.



მ ათი წლის წინ, ღამით, იანვრის 21-ს, 1910 წელს, თბილისში გარდაიცვალა მარიამ დემურია. მის მოღვაწეობის მრავალფეროვნებაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ, ჩვენთვის, „ნაკადულის“ მკითხველებისთვის მაინც, უძვირფასესია მისი ხსოვნა. ეს იმიტომ, რომ ამ ჟურნალის დაარსება მის შრომუნველობას ეკუთვნის. და არა თუ დაარსება, მისი მიზან-შეწონილ ნიადაგზე დაყენება, მისი გაფურჩქვნა და მისი მომავალის უზრუნველყოფა უმთავრესად მას ეკუთვნის და მხოლოდ მას. მას სურდა, რომ „ნაკადულის“ სახით ბავშვებს სულიერი წყარო არ დაშრობოდათ. ჩვენ შეგვწევს სითამამე განვაცხადოთ, რომ ძვირფას დედას ეს იმედები გაუმართლდა. და, მართლაც, თუმცა უკვე ათი წელიწადია, რაც შესწყდა მისი სიკაცხლის ძახილი, ათი წელია ჩვენთვის დადუმდა მისი მომხიბვლელი ენა და უსაზღვრო გრძობებით და სიყვარულით მფეთქავი გული, მაგრამ მისი ნაამაგდარი, მისგან გადმოჩქეფილი „ნაკადული“ მაინც მოდის, მაინც სჩქეფს, მაინც გვზრდის. თუ არა მარიამი, ჩვენ არ გვექნებოდა ეს „ნაკადული“. ექვს წელიწადს უდგა იგი სათავეში, ექვსი წლის განმავლობაში სცდილობდა, რომ იგი უზრუნველ ეყო ყოველ მხრით,

რათა ჩვენს მოზარდ თაობას, თქვენ, ჩემო პატარა მკითხველებო, გქონოდეთ შესაფერი სულიერი საზრდო, სამშობლოს შევნებად დასდგომოდით სპეტაკი სულით.



მარიამ დემურია ახალგაზრდაში.

მაგრამ მარიამ დემურია მარტო ბავშვების სულის მესაიდუმლოე როდი იყო, მას ჰყავდა დიდი ბავშვებიც, ჩვენი ხალხი! მან კარგად იცოდა, რომ ხალხი განუვითარებელი, ეუმცნობელი, თავის თავად არაფერს ნიშნავს, თუ იმასაც არ ექნე სულიერი საზრდო სულიერი სიფაქიზის მისაღებად, ასამაღლებლად. მეტად წყვეული დრო იყო ის დრო! ჩვენი ძველი რუსეთის მთავრობა ბნელეთის მოციქულებს გზავნიდა, რომ ხალხი მუდამ სიბნელეში ჰყოლოდა, ხალხს თვალები არ აჰხელოდა. ჰო და მარიამ დემურია სწორედ ამის წინააღმდეგ ამხედრდა, რომ მდაბიო ხალხის სული აღერსითა და სიყვარულით გაეთბო, მიეწოდებინა გონებრივი საზრდო თვითცნობიერების გასაღვივებლად. სახალხო კითხვები, სახალხო კრებე-



საქართველოს  
 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, სამკითხველოები, აი რაზე ზრუნავდა მარიამ დემურია. სახალხო წარმოდგენები, ციხეებშიც კი უბედურ ტუსაღთა ხვედრის შესამსუბუქებლად შესაფერ კითხვების მოწყობა, — აი რისთვის ზრუნავდა იგი, რაზე დასდო მან თავი თვისი.

რომ უფრო ნათლად წარმოიდგინოთ მარიამ დემურიას საოცარი მხნეობა, თავდადებული საზოგადო მოღვაწეობა, მე აგიწერთ იმ ორ დღეს თუ რა მოხდა, ან რა გააკეთა ტკბილმა დედამ ორი დღის განმავლობაში გარდაცვალებამდე: უკანასკნელ წლებში იგი ავადმყოფობდა გულის სივანიერით, საჭირო იყო დასვენება, მაგრამ მაინც სულ ფეხზე ტრიალებდა. 19 იანვარს, მაგალითად, თბილისიდან ისტუმრებდნენ ჩვენი ერის ერთ უდიდეს მესაიდუმლოთაგანს, არჩილ ჯორჯაძეს. არჩილი მეტად სუსტი, ავადმყოფი ადამიანი იყო. მრავალ მოთაყვანეთა შორის მარიამ დემურიაც მოვიდა სადგურზე; ავადმყოფი შევიდა ვაგონში და არ მოისვენა, — სანამ საკუთარ თვალით არ დარწმუნდა, რომ არჩილი უზრუნველია, კარგადაა დაბინავებული. გამოეთხოვა, ვინ იცის, ეს უკანასკნელი ნახვა იყოს ჩვენიო, — ეს უთხრა და კრემლებით გამოშორდა. გადმოსვლისთანავე გული წაუჭედა, ეტლით შინამდე თითქმის ცოცხალ-მკვდარი მიიყვანეს. მიუხედავად ამისა, მეორე დღეს, 20 იანვარს, იგი იყო „ნაკადულის“ რედაქციაში მასალების გადასარჩევად. იმავე დღეს, სამი საათიდან მოყოლებული, სხვადასხვა დაწესებულებაში მიდის, ბოლოს თავის მეგობარ თეკლე აბაშიძეს ეწვევა, და იქ ავადმყოფობა უარესდება, და მეორე დღეს, 21 იანვარს, უკვე ცოცხლებში აღარ არის...

იშვიათი ზემოთ დაიშარხა განსვენებული მარიამ. მაგრამ ყველაზე სანუკვარი, ყველაზე მომზიბეღელი უფრო ის იყო, რომ ბავშვები გვირგვინებით ერტყნენ მას და ყვავილთა საბანს აფარებდნენ მის ნეტარ სახეს. აჰ, რა იქნება, რა ამ ქვეყნად ასეთ ჯილდოზე მალალი!

უკვე ათეულმა წელმა თავისი გააკეთა. ამ ხნის განმავ-



ლობაში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გაკეთდა. მარიამ დემურიას ხსოვნა წლითი წლობამდის ისევე იფურჩქნება და უმკვანარი სახით სურნელს გვაფრქვევს, როგორც მაისის ვარდი. ასეა ყოველთვის:— უკვდავებს ადამიანი სიცოცხლითვე ეზიარება, თუ ხორციელ სიკვდილამდე საზოგადოების გულში მარიამ დემურიას ასეთი ლამაზი სახით ჩაიშარბება...

დ. კახიანიძე.





ვუძღვნი ჩემს ძვირფას მასწავლებელს

## პასილ გარნოვს.

პრთის წყარო, ნაევარდობს,  
კამკამა, ლამაზი,  
ღუღუნებს, ლუკლუკებს,  
კორდებზე ჩუხჩუხებს.

ყვავილნი ხარობენ,  
მას ვულში ეკვირან,  
უცნობნი ფერადნიც  
მასთან მოიღტვიან.


მიცურავს ლაგვარდა,  
მიცელქობს ნაზადა,  
ტრიალებს... კრიალებს,  
მზის შუქზე პრიალებს.

და ესე გროვანი,  
ტკბილი-სურნელოვანი,  
ლამობენ მიართვან  
უჭკნობი კონანი.

მდელოზე ნელ-ნელა  
დადის, ვით ქალწული...  
არ ზოგავს — ყვავილებს  
ჩაუდგას მან სული.

ვაშა ამ წყაროსა,  
რომ მოსჩქეფს ბარადა,  
ყვავილთ რომ ახარებს  
ჩვენ სანუკვარადა!

გ. კოლელიშვილი.





კეთილი მასწავლებელი ვასილ ზაქარიას მე ბარნოვი.



ავშებო, როგორ მიყვარს ჩემი წარსული  
ცხოვრების მოგონებანი და ყველაზე უფრო  
სასწავლებელში სწავლის დრო.

ის დრო, როცა ესწავლობდი თე-  
ლაეში, სასულიერო სასწავლებელში, უკე-  
თეს მოსაგონებლად ჩაბეჭდილა ჩემს გუ-  
ლსა და სულში. უნდა ვითხრათ, რომ ჩემს გულს ბავშვობი-  
დანვე დაჰყვა ადამიანის სიყვარული, სიბრაღეული, და სხვა  
კეთილი გრძნობები, და ეს იცით ვისი უნარით?

— ძიავ, ვინ იყო, ვისი უნარით? გვითხარი, შენი კირი-  
მე!—მოუთმენლად აფიქინდნენ ბავშვები და პირზე ღიმილით  
სთხოვეს ძიას ეამბნა მათთვის.

— დასხედით და ახლავე გიამბობთ. მე ძალიან მიხა-  
რია, როცა იმ კეთილ ადამიანზე ვლაპარაკობ ხოლმე. ჩემი



ამხანაგებიც, როცა შევხედები ხოლმე, სიამოვნებით იხუცებულაპარაკს იმ ძვირფას აღმზრდელზე, რომელმაც თვისი უანგარო პატიოსნებით და მშობლიური სიყვარულით მისი მაგალითების მიმბაძველნი და მიმყოლნი გაგვხადა.

— აჰ, რა კარგია, ძიავ! — ვეღარ მოითმინა მიშამ, მაგრამ ვახტანგომ და ვასიამ მიშა გააჩუმეს და ბიძიას ათხოვეს გულის-ყური.

— მე ჯერ სასწავლებელში არც კი ვყოფილვარ, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ჩემი ძმებისაგან ვიცოდი სასწავლებელს რამდენი მასწავლებელი ჰყავდა, რომელი იყო კარგი, ან შევირდებში რომელი იყო კარგი საამხანაგო.

მისვლისთანავე ჩემს ძმას ვასილს ღრვევით შევეხვეწე, აბა მიჩვენე რომელია ვასილ ზაქარიას ძე მეთქი, მან მაჩვენა, მაგრამ! ახლა მივხდი, რომ ბავშვის ფხიზელი გონება და გული არასოდეს არ შესცდება ადამიანის დაფასებაში, — შემიყვარდა მასწავლებელი, მისი ბადრი სახე, ბრძნული გამომეტყველება, დინჯი და წყნარი სიარული, მოსაუბრე ლაპარაკი, — ახ, ნეტა მავისი შევირდი ვიყო მეთქი! გავივლე გუნებაში.

პირველმა შეხვედრამ და მისმა დინჯმა მიხერამოხერამ თითქმის მეც დამადინჯა და აღმიძრა ერთი აზრი — ამ პატიოსან ადამიანს პატიოსნურად მოეპყარი, არასდროს არ აწყენიოო. და ან მე რად უნდა გამოვსულიყავ დაუდევარი და ცუდლლუტი, როცა ყველა შევირდები ვასილ ზაქარიას ძეს პატივსა სცემდნენ, როგორც კეთილ მასწავლებელს.

სამი განყოფილება გავიარე. ვასილ ზაქარიას ძე ჩვენ არ გვასწავლიდა. ვიცოდი, რომ იგი პირველ კლასიდან ჩვენი მასწავლებელი გახდებოდა, მაგრამ, აკი გიოზარით, განყოფილებებშიაც ვასილის სახე სურათად გვებატა ყველას გულში და მისი პატივისცემის ნიშნად სხვა მასწავლებელთაც კარგად ვეკცოდით.

აი გადავედი პირველ კლასში. სწორედ დღეს მისი გაკვეთილი გვაქვს. ყველანი სულ-განაბულნი ვზივართ სკამებზე და



გულის ფანქვალით ველოდებით ჩვენ აღმზრდელ მასწავლებელს. ძვირფასმა მასწავლებელმა ვასილ ზაქარიას ძემ პაწიები ოჯახშივე აღგვხარდა.

— განა ჩვენსა დადიოდა ხოლმე? — გაკვირვებით შეეკითხა ვასილი.

— ძიამ ხო გვითხრა, ჩემმა ძმამ ვასილიმ შორიდან გამაცნო კეთილი მასწავლებელიო? — განუმარტა ვახტანგიმ.

— ძმამ რო ძმას უთხრა, ეს კარგია, მაგრამ ზოგნი ისეთი სწავლობენ, რომელთაც არც ძმა და არც ნათესავები ჰყავთ. მე მყავს ამხანაგი, რომელსაც არვინ აბადია ქვეყანაზე, — დინჯად სთქვა მიშამ და თან თავის წყნარ ყმაწვილურ თვალებს ბიძიას თვალებს არ აშორებდა.

— მართალია, — წყნარად ვე მოუგო ძიამ, — შეიძლება უნათესაოს და ობოლს არვინ უთხრა, მაგრამ პაწიას აზიზი გული მალე პოებს ხოლმე კეთილ ამხანაგებში ძმურ განწყობილებას.

— ჰო, ამხანაგებისგან გაიგებდა! — უეცრად წამოიძახა მიშამ და გაბრწყინებული სახით ვახტანგისა და ვასიას გადახედა.

— ეგ მართალია, ჩემო მიხეილ! — უთხრა ძიამ.

სამივენი გაჩუმდნენ.

— ხდებოდა ხოლმე სასწავლებელში ბავშვებს შორის ჩხუბი და კინკლაობა. მხოლოდ ვასილ ზაქარიას ძეს შეეძლო საქმის ისე მოწყობა, რომ ორივე მოპირდაპირე სირცხვილს დაეწო და მათ შორის უსიამოვნობა გამქრალიყო. თქვენ იქნება იფიქროთ, რომ ვასილი ძალიან სასტიკი მასწავლებელი იყო, წარმოიდგინეთ, რომ სრულგებობა არა: მე თავის დღეში იგი გაბრაზებული არ მინახავს. მოჩხუბრებისთვის რომ ხმაც არ გაეცა, საკმაო იყო მარტო ვასილ ზაქარიას ძის ერთი შეხედვა, და ისინი მაშინვე თავს ანებებდნენ ჩხუბს და მეგობრულად იწყებდნენ ლაპარაკს.

ერთხელ, როდესაც მე მეორე კლასში ვიყავი, ჩვენს კლასში შემოვიარდა მეოთხე კლასელი შეგირდი და თითო-თითოდ გამოგვიწვია საქიდაოდ. მე და ჩემს ამხანაგს იროდიონს





მოგვივიდა ბრაზი და ცვემეთ. რასაკვირველია ამ საქციელს-  
 არ გვაპატიებდნენ. მე და იროდიონს გამოგვცხადეს, რომ  
 უნდა დაგვეტოვებია სასწავლებელი, ჩვენ ორივენი ვგრძნობ-  
 დით, რომ დამნაშავენი ვიყავით და საშინლად დავლონდით.

— და განა მესამე კი არ იყო დამნაშავე? თქვენი რა  
 ბრალი იყო? იმან გამოგიწვიათ, — უთხრა ბიძიას საბე-გაწით-  
 ლებულმა ვახტანგიმ.

— არა, შეილიკო, ჭკვიანი ამხანაგი გიყს არასოდეს არ  
 აპყვება.

— მერე, ძია, სასწავლებელი მიატოვეთ? — შეეკითხა ვასილი.

— სწორედ ამ დროს კლასში შემოდის ვასილ ზაქარიას ძე,  
 ჩვეულებრივად დაბრძანდა მაგიდასთან, გაკვეთილები ჩასწერა  
 და ჩაფიქრებით მე და ჩემს ამხანაგს დაგვიწყო ყურება.

ვასილ ზაქარიას ძე უსიტყვოდ გეტუქსავდა ხოლმე. რას  
 ვგრძნობდი მაშინ — ძნელია ამის თქმა, მხოლოდ ეს კი მახ-  
 სოვს, იმას ვფიქრობდი — ნეტა მიწა ვასკდეს და თან ჩამიტა-  
 ნოს მეთქი.

გამომიძახა გაკვეთილის სათქმელად. კარგად უპასუხე.  
 მერე ჩემ ამხანაგსაც გამოუძახა, იმანაც საუბხოვოდ უპასუხა.

— დასხედით და ყოველთვის ასე აშხადეთ გაკვეთილები, —  
 გვითხრა მან წყნარად. შემდეგ დაგვიწყო იმაზე ბაასი, თუ  
 ცხოვრებაში ბავშვები რით ან როგორ განირჩევიან პირუტყ-  
 ყებისგან, ასე რომ ლაპარაკი სულ ჩვენ საქციელზე იყო,  
 მხოლოდ პირადათ ჩვენ სრულებითაც არ შეგვებია.

„შემდეგ კარგად ისწავლეთო“, ამ ტკბილმა სიტყვებმა  
 დაგვამშვიდა, მაგრამ მაინც პაწია გული ვერ ისვენებდა სწუხდა  
 არა მჯეროდა, რომ არ დაგვითხოვდნენ.

მეორე დღეს უიმედოთ მივდიოდით სასწავლებლისკენ, მა-  
 გრამ იქ დიდი სიხარული გველოდა: მისვლისათანავე მასწავ-  
 ლებელმა გვითხრა — ილოცეთ ვასილ ზაქარიას ძე: მისი წყალო-  
 ბით დარჩით სასწავლებელშიო.

მას შემდეგ აღარავისთან აღარ მიჩხუბნია.

მასხოვს მისი ბაასი, როდესაც საწყალ გლეხებზე და მათ უბედურ ცხოვრებაზე გველაპარაკებოდა და გვაყვარებდა ხალხს.

საყვარელი კაცია ვასილ ზაქარიას ძე: იგი ყველას, დიდისა თუ პატარასი, მოსიყვარულე მასწავლებელია.

— ძიავ, ნეტა ჩვენი მასწავლებელიც იყოს! — წამოიძახა სამივემ.

— თქვენც არის.

როცა გაიზრდებით, მაშინ ღრმად ჩასწვდებით მის გულსა და სულს, უფრო ახლო გაიკნობთ და შეგიყვარდებით. იგი საუკუნო მასწავლებელია.

— როგორ, ძია, ვასილ ზაქარიას ძე რამდენხანს იცხოვრებს, რომ საუკუნო მასწავლებელი იქნება.

— ბავშვებო, ვასილ ზაქარიას ძე იქნება იმ დრომდე, ვიდრე კაცობრიობა იცოცხლებს ქვეყანაზე. მან დაგვიწერა საუცხოო წიგნები ჩვენი ცხოვრებიდან, და მისი წიგნები ჩვენს გულში ყოველთვის აცოცხლებენ ვასილს?


— ძიავ, წაგვიკითხე, შენი ჰირიმე, მისი დაწერილი წიგნი!

— არა შევიღებო. ჯერ თქვენ პატარები ხართ, ისწავლეთ „დედა-ენის“ წაკითხვა. როცა გაიზრდებით, ვასილ ზაქარიას ძის ნაწერს მაშინ გაიგებთ. მისგან დაწერილ წიგნებში იგი მუდამ იცოცხლებს, მხოლოდ იცოდეთ, რომ თუ გსურთ ეს ტკბილი მასწავლებელი ყოველთვის თქვენი მეგობარი იყოს, ისწავლეთ. ამასთან ერთად უნდა ისწავლოთ კარგად, რომ ღრმად ჩასწვდეთ მის გულს.

ბავშვები ბიძის ყურს უგდებდნენ. რომ გაათავა ლაპარაკი, მიშამ, ვასილიმ და ვახტანგიმ მაშინვე წიგნებს მოაველეს ხელი და მუყაითად დაიწყეს გაკეთილების სწავლა. ის დღეა, და მის შემდეგ სულ იმის ნატვრაში არიან: კარგად ვისწავლით ჩვენი ვასილ ზაქარიას ძის წიგნები წაეკითხოთ და შეეყვაროთო.

გ. კოლელიშვილი.





## საქართველო 1919 წ.

მ

ძიმე და ამავე დროს დიდებული წელიწადი იყო საქართველოსთვის 1919 წელი.

1919 წლის დასაწყისში გამოვიდა საქართველო დამოუკიდებლად სახელმწიფოს შენების გზაზე; იმ დროს იგი გარშემორტყმული იყო მტრებით; არ იყო დამყარებული ევროპასთან, არც ამიერ კავკასიაში მობინადრე მეზობელ ერებთან წესიერი განწყობილება. შინაგანი ცხოვრება მოუწყობელი, აურზაურით სავსე ჰქონდა და ეკონომიურად დაცემული იყო. მაგრამ წლის ბოლოს მოახერხა და ისე მოაწყო თავისი შინაგანი ცხოვრება, რომ ევროპამ იცნო და აღიარა მისი დამოუკიდებლობა. საქართველომ დაამყარა კეთილ მეზობლური განწყობილება ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან.

### საქართველოს საგარეო პოლიტიკა ევროპასა და ამერიკასთან.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უმთავრესი ძალადონე საგარეო პოლიტიკის საქმეში იმისკენ იყო მიმართული, რომ როგორმე მოეხერხებინა, ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ და აღუარებინათ ჩვენი დამოუკიდებლობა და მოეწყოთ იმათთან კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა.

პირველი მიზნის მისაღწევად საქართველოს წარმომადგენლები აცნობდნენ ევროპას ჩვენ ქვეყანას, ჩვენ ისტორიას, კულტურას, აჩვენებდნენ განათლებულ კაცობრიობას, თუ რა გა-



აკეთა\* საქართველომ გასული წლის განმავლობაში, დემოკრატიულად ცხოვრების დროს, აგრეთვე ცდილობდნენ აეხსნათ ევროპიელებისათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

საქართველოს წარმომადგენლები მოღვაწეობას ეწეოდნენ დიდსა და პატარა სახელმწიფოებში, ათავსებდნენ განეთებსა და თურნალებში საქართველოს შესახებ ცნობებს, ბეჭდავდნენ წიგნებს, გამოდიოდნენ საერთაშორისო სოციალისტურ ყრილობებზე, საერთაშორისო სამეცნიერო და პროფესიონალურ კონგრესებზე (ყრილობაზე), და მიაღწიეს თავიანთ მიზანს—ევროპამ გაიცნო საქართველო. პირველად ევროპის თურნალ-გაზეთებში ჩვენ ვხედავთ არა შეგობრულ წერილებს, შემდეგ კი თან-და-თან ვამჩნევთ, როგორ იცვლება ეს აზრი: ჯერ ინტერესით ეპყრობიან საქართველოს, შემდეგ კი სიმპატიითაც (თანაგრძნობით). ბოლოს ევროპის პრესსა და მისი ხალხები მოითხოვენ თავიანთ მთავრობათაგან, რომ იცნონ და აღიარონ საქართველოს უფლება დამოუკიდებლობისა.

ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს ჩრდილოეთის სახელმწიფოებმა—შვეციათ, ნორვეგიამ, დანიამ, შემდეგ იცნო შორეულმა არგენტინამ (სამხრეთ ამერიკაშია), ბოლოს, ახლა 12 იანვარს, მივიღეთ სასიხარულო ამბავი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ.

მეორე მიზანიც ასევე კარგად იყო შესრულებული ჩვენი წარმომადგენლების მიერ. მოწყობილია საქმე ინგლისის, იტალიის და ამერიკის ბევრ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებასთან. საქართველოს კოოპერატივების წარმომადგენელი მიწვეულია საერთაშორისო კოოპერატიულ ყრილობაზე, რომელიც დანიშნულია შვეიცარიის ქალაქ ვენევაში.

საქართველოს სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებს დიდ ანგარიშს უწევენ სოციალისტების საერთაშორისო ყრილობებზე.

საქართველოს „საზოგადოება ერთა ლიგისა“ განსაკუთრებით მოწვეულია ამნიირ საზოგადოებათა საყოველთაო კონგრესზე ბელგიის ქალაქ ბრიუსელში. დამოკიდებულება უკვე გვექონდა ევროპასთან გასულ წელს; მომავალში იგი მხოლოდ უნდა უფრო გავამტკიცოთ და გავათავართოთ.

### ამიერ-კავკასიის პოლიტიკა საქართველოში.

გასული წლის დასაწყისში, ის იყო დამთავრდა სომეხ-ქართველთა ომი, არ იყო ჩამოყალიბებული აზერბეიჯანთან ურთიერთობა, პირ-იქით კოტაოდენი უსიამოვნო გაუგებრობასაც ჰქონდა ადგილი. აზერბეიჯანისა და სომხეთს შორის დამოკიდებულება მტრობასა და სიძულვილში ისახებოდა. განკერძოებული, მტრული განწყობილება იყო ამიერ კავკასიის სახელმწიფოებს შორის 1919 წილს დასაწყისშიც.

მთელი ძალ-ღონე ჩვენი მთავრობისა იყო მიმართული იმისკენ, რომ მოესპოთ ეს მტრული განწყობილება და განკერძოება. ორჯელ მოახდინა საქართველოს მთავრობამ მთელ ამიერ კავკასიის წარმომადგენელთა ყრილობა, სცდილობდა თანხმობა ჩამოეგდო მეზობლებთან. პირველად მოახერხეს შეთანხმება ცალკე საკითხების შესახებ, შემდეგ მოსახერხებელი შეიქმნა სამხედრო-მოსაგერიებელ კავშირის შეკვრა აზერბეიჯანთან, შემდეგ შეუთანხმდნენ აზერბეიჯანსა და სომხეთს იმის შესახებ, რომ ამ სახელმწიფოთა და საქართველოს შორის არ უნდა მოხდეს ომი, რომ ეველა სადაცო საკითხება უნდა გადაწყდეს საერთაერთო შეთანხმების გზით, და თუ ეს შეუძლებელია იქნება, მაშინ საქმეს გადასწვევტს საერთაშორისო სამედატორო სასამართლო. როდესაც ჩვენმა მთავრობამ ასეთი კეთილგანწყობილება ჩამოაგდო თავის მეზობლებთან, შემდეგ შეეცადა იმათ შეთანხმებასაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საქმეში ჩარევის მეოხებით იყო, რომ ჩაქრა თითქმის დაწყებული სომხებისა



და თათრების ომი. მისი თაოსნობით ჩამოვარდა თანხმობა სომხეთსა და აზერბეიჯანის შორის და თვითონ იმათ აღძრეს საკითხი იმის შესახებ, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს შეეკრათ მკვიდრი მეგობრული კავშირი ერთმანეთ შორის.

ეს საკითხი იქნება დასმული ამიერ კავკასიის კონფერენციაზე (ყრილობაზე) რომელიც განზრახულია და უნდა მოწყვეულ იქნას.

## საქართველოს შინაგანი პოლიტიკა.

### - ადგილობრივი თვითმართველობა.

რუსეთის თვითმპყრობელობას ეშინოდა დაჩაგრულ ხალხთა თვითმოქმედებისა. არ აძლევდა იმათ ნებას შეკრებილიყვნენ და ეთათბირათ თავიანთ ქირ-ვარამზე და თვითონ ეზრუნათ თავის ადგილობრივ საქმეების მოსაწყობად. ჩვენში, მაგ. როგორც ლატვიაში, ხალხს არ ჰქონდა ადგილობრივი თვითმართველობა.

გასული წლის განმავლობაში ამ შხრივ საქართველოს ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა; შემოღებულ იქნა ერობა, სამაზრო და სათემო. ახლა ყველა ადგილობრივი საქმეები ირჩევა და სწყდება თვითონ ხალხის წარმომადგენლებისაგან. ყოველი დაბა, ყოველი სოფელი თვითონ სწყვეტს საქმეს თავის საქიროების შესახებ. ერობას გაჰყავს გზები, ერობა ადვენებს თვალყურს წესიერებას, (მის განკარგულებაშია მილიცია) ერობა აშენებს სასწავლებლებს და საავადმყოფოებს, იწვევს ექიმებს, მასწავლებლებს და აგრონომებს (ნასწავლ მეურნეებს). უცხოელები გაოცებულნი იყვნენ ამ რეფორმით (ცვლილებით). საქმე იმაშია, რომ უფრო დაწინაურებულ განათლებულ ქვეყნებში ერობის შემოღების განხორციელებას დიდი ბრძოლა დასჭირდა. მთელი წლები გავიდა, სანამ ადგილობრივი საქმეები ადგილობრივ თვითმართველობებს გადაეცემოდა. საქართველომ კი თავის დამოუკიდებლობის პირველ წელსავე შემოიღო ეს დაწესებულება. ამ რეფორმის წაყოფი უკვე სჩანს: გაჰყავთ შირა გზები, ახალი რკინის გზები; ბევრ ადგილას მოწყობილია



მცხოვრებლებსათვის უფასო საექიმო დახმარება, სასწავლებლების რიცხვი იზრდება.

### მიწის მფლობელობის წესების შეცვლა.

1919 წელს შემუშავდა საქართველოში მიწის მფლობელობის წესი. მიწები ყველგან გადაეცა მშრომელ ხალხს. ამით მოიხსნა ის დიდი უსამართლობა, რაც საუკუნოებით იყო დამყარებული, რომ შეეძლო დიდი მამული ჰქონოდა იმას, ვინც მიწაზე არ მუშაობდა; მშრომელ გლეხს კი ხშირად ერთი ჰქონდაც არ მოეპოვებოდა.

### სამოსწავლო საქმე.

გაუნათლებელი, უმეცარი ხალხნი იღუპებოდნენ. ამიტომ აღზრდა-განათლების საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენმა მთავრობამ. ყველაზედ უწინარეს სახალხო განათლების სამინისტრო შეეცადა გაემრავლებია დაბალი და საშუალო სასწავლებელთა რიცხვი და შემდეგ გაეუმჯობესებინა მასწავლებლების მდგომარეობა. ამას გარდა შემოღებულ იქნა პირველი და დიდი ცვლილება ჩვენ სასწავლებელთა საქმეში. ძველად დაბალსა და საშუალო სასწავლებელს არაფერი არ აერთებდა; ახლა კი სამინისტრომ მოახდინა ისეთი ცვლილება, რომ დაბალი და საშუალო სასწავლებელნი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან: რასაც სწავლობენ დაბალ სასწავლებელში, განაგრძობენ შემდეგ საშუალოში. ნექმნილია ამაირად გაერთიანებული სასწავლებელი. უწინ სასწავლებელში არ უნაწილებდნენ დროს ფიზიკურ შრომას. განსაკუთრებით ეს ნაკლი ჰქონდა საშუალო სასწავლებელს. ახლა კი ფიზიკური შრომა შემოღებულია ყველგან. ამას გარდა უწინ სასწავლებელთა პროგრამები ისე იყო შედგენილი, რომ ბევრს იმისი შეთვისება ზეპირობითა და ხსოვნის საშუალებით შეეძლოთ; ახლა კი იმ მხარესა აქვს ყურადღება მიქცეული, რომ მოწაფემ რაც შეიძლება მეტი იმუ-



შაოს თვითონ, და რაც შეიძლება უფრო თვითონ განაუთაროს თავისი გონება. ბოლოს სასწავლებელთა პროგრამები ისეა შედგენილი, რომ ყოველი სასწავლებლის გათავების შემდეგ კაცს შეუძლია დამოუკიდებლად შეუდგეს თავისი შრომით ცხოვრებას. ამგვარად შექმნილია გაერთიანებული სასწავლებელი.

### სასწავლებლის გარეშე განათლების საქმე.

ბავშვებს გარდა ბევრია წერაკითხვის უცოდინარი, უსწავლელი მოზრდილი ხალხი, ხშირად ველურივით უმეცარი. სახელმწიფო ვალდებულია მიაწოდოს იმათ ცოდნა. ამას გარდა თვითონ ხალხიც თხოულობს სწავლა-განათლებას. ახლა ხომ ჩვენ ქვეყანას თვითონ ხალხი განაგებს, და თუ ცოდნა არ ექნა თავს ვერ გაართმევს და ვერ გაარკვევს ვერც ადგილობრივ და ვერც სახელმწიფო საქმეებს.

და აი ახლა სახალხო განათლების სამინისტრო შეუდგა სასწავლებლის გარეშე სწავლა—განათლების მოწყობის საქმეს.

განზრახულია გაიგზავნოს ყველგან დაბა-სოფლებში ხელმძღვანელები, მოაწყონ მოძრავი უნივერსიტეტები, გამოფენები, გაამრავლონ ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მოაწყონ სახალხო მოძრავი თეატრი.

წლის ბოლოს შესანიშნავი იყო იმით, რომ გაიმართა ჩვენი მოღვაწეების იუბილეები.

### მსახიობი ნინო ჩხეიძის იუბილე.

25 წლის განმავლობაში, იმ წლების, როდესაც სდევნიდნენ ქართულ კულტურას, როდესაც ქართული სცენის მოღვაწენი განიცდიდნენ საშინელ მატერიალურ შევიწროებას, მალა ეკირა ნინო ჩხეიძეს ჩვენი მშობლიური ხელოვნების დროშა, შესანიშნავმა ნიქმა მისცა ნინო ჩხეიძეს შეძლება შეექმნა მთელი რიგი მშვენიერი სასცენო ტიპებისა; თავისი თამაშით იგი უღვიძებდა ხალხს სიყვარულს ქართული თეატრისა, ხელოვ-



ნებისა და კულტურის მიმართ. ამიტომ იმისი იუბილესათვის საქართველოს დღესასწაულად გადაიქცა.



ნინო წიკლაური.

ყველა საზოგადო ორგანიზაციამ, მთავრობამ, დამფუძნებელმა კრებამ, არტისტებმა და მხატვრებმა მიულოცეს ნიკიორ მსახიობს ეს დღე.

იუბილეს დღეს გამართული წარმოდგენა ნინო წიკლაურს ზეიმად გადაიქცა ამ დღეს საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია თავის სახელოვან მოღვაწეთა დაფასება და სიყვარული.

#### ვახილ ბარნოვის იუბილესი.

გასული წლის დასასრულს იდღესასწაულეს 30 წლის იუბილესი ჩვენი გამოჩენილი მწერლისა და პედაგოგის ვახილ ბარნოვისა, რომლის მოღვაწეობისა და პიროვნების შესახებ ცალკე ლექსი და წერილია დასტამბული „ნაკადულის“ ამავე ნომერში.

ლ. კრემერი.

(შემდეგა აქნება)





## დათვი და კაცი.

(ავტო-არაკი სულხან-საბა ორბელიანიდან).



იცით, თუ რას ქვიან დათვური, მოპყრობა,  
 გვაშინებს დათვური ყველას სამსახური,  
 მაგრამ დათვსაც ძალუძს შობა, მეგობრობა,  
 ავის, კარგის ცნობა... მაშ, დამიგდეთ ყური!!...

ერთხელ, კაცი ვინმე დათვს დაუმეგობრდა.  
 დათვი კაცს ეწვია, როცა ის ლხინობდა.  
 კაცი იყო უხვი, გულკეთილი, წრფელი,  
 ცას სწვდა, სტუმარი რომ ნახა სასურველი,

გაუშალა სუფრა, ლხინი გაუმართა,  
 და, როდესაც დათვა ტყისკენ გაემართა,  
 ძმურად გადაჰკოცნა, ცოლსაც აკოცინა,  
 ცოლმა სთქვა: „ჰი, ჰყარსო“... დათვმა ეს იწყინა,

მაგრამ არა-რა სთქვა, სერი აირბინა,  
 შეძვრა ტყეში და მსწრაფლ ჰპოვა თვისი ბინა...

გავიდა დრო, ხანი, დათვის ეწვია კაცი,  
მანც ლხინი გამართა უბვი და წარმტაკი...  
ბოლოს დათვმა კაცსა ასე დაუთინა:  
„აილე და თავში დამკარიო რკინა“!..

კაცს ამგვარმა თხოვნამ გული დაუწყულულა,  
ვერ სცნო: დათვმა თავი თუ რად მოიძულა,  
მაგრამ როს უარი დათვთან არ გავიდა,  
კული თავში დაჭკია და შინ წამოვიდა...

მეორე თვეს კაცი დათვის შამოეყარა,  
ცოცხალი რომ ნაბა, მეტად, გაიხარა,  
დათვის გამთელეზოდა თავი დაკოდილი,  
არც კი აჩნდა სადმე თუ იყო დაჭრილი...

დათვმა უთხრა: „ხედავ, გამიმთელდა წყლული,  
აბა, თუ შეამჩნევ, თუ სად დამკარ კული,  
მაგრამ შენი ცოლის ენით გაკაწრული,  
დღემდევ არ მომიჩჩა—ახლაც მტკივა გული...“

ი. სიხარულიძე.



# რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილია დ. კლიაიზაშვილის მიერ).

კაკუძირა



”

მ  
თ  
რ

ჩემი მშობლების ქაღალდი

’



ა  
ბ



”

კაკუძირა

სა

ცხვრების გროვას რა ჰქვია?



ც

ახანის მე-4-ეასი

2

მ



”



”

’



”



## შინაარსი:

I.	მარიამ ივანეს ას. დემურია, — სურათი . . . . .	1
II.	ალტაცებული ღუმილი, — ლექსი ღუტუ მებგრელისა.	2
III.	სამართლიანის აღიარება . . . . .	3
IV.	სამშობლოსადმი, — ლექსი ი. შკედლიშვილისა .	7
V.	გაფიცვა, — არ. ფანკულიასი . . . . .	8
VI.	ნიჭიერი ბავშვის თავგადასავალი, — ნ. დარაშვილისა.	20
VII.	ლორჯი ფრინველი, — ფეერია 6 მოქმედებად და 12 სურათად მორის მეტერლინკისა, თარგ. გიორგი ჯაბაძარისა . . . . .	30
VIII.	მარიამ ივანეს ას. დემურია (ათი წლის გარდაცვა- ლების გამო) — დავ. კასრაძისა. . . . .	44
IX.	ძღუნად ვასილ ბარნოვს, ლექ. გ. კოლელიშვილისა	48
X.	კეთილი მასწავლებელი ვასილ ზაქარის ძე ბარნოვი გ. კოლელიშვილისა. . . . .	49
XI.	საქართველო 1919 წ., — ლ. კრემერისა . . . . .	55
XII.	დათვი და კაცი, — იგავ-არაკი სულხან-საბა ორბე- ლიანიდან, ვალექსილი ი. სიხარულიძისა. . . . .	61
XIII.	გასართობი: რებუსი. . . . .	63

მიიღება ხელის მოწვევით

1920

წლისათვის

დასურათებული

საზოგადოებრივი ჟურნალი

# „ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდიები ეძლევა განათლების სამინისტროსა და სხვანაირი კომისიების მიერ. გამოდის კვირითა ერთხელ. ჰარკოვში დასრულებულია წლისათვის გამოცემის მოწყობის სამუშაოები.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ.  
„ „ „ მოზრდილთათვის „ „ ერთჯერ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი	150 მან.
ცალ-ცალკე . . . . .	85 „
ნახევარი წლით . . . . .	90 „

მისამართი: თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილია გიორგიანის) პროსპექტის და დავითას ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითას ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—5.